ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 30 ივნისი, 2025 №123 (9673) ფასი: 80 თეთრი

ილია თოფურიამ პირველ რაუნდში მოიგო ნოკაუტით

გვ.7

მცხეთაში ექსკურსიაზე მიმავალ ავტობუსს ავტომაგისტრალზე ცეცხლი გაუჩნდა

გვ.3

კალაძე ივანიშვილის „ოჯახის წევრია“

„კობახიძის დიდი ტყუილი, ბოლო 12 თვეში ოთხი ჰესი აშენდაო. წარმოგიდგენიათ?! 12 თვე ორსართულიანი სახლის აშენებას არ ჰყოფნის და ჰესი აშენდა 12 თვეში? თანაც ოთხი?!“

გვ.2

გოჩა მირცხულავა: „ორბანსაც მალე ყელში ამოუვა „ოცნების“ ვიზიტები და მასპინძლობა“

გვ.4

ელენე ხოშტარია: „აგერ არის ჩემი სიცოცხლეც, თავისუფლებაც და მაინც ვერ მოგვერევით...“

„ადამიანური თანაგრძნობაა მოშიმშილე პოლიტიკოსებთან საუბარი“ – ფიშერის პასუხი პაპუაშვილს

გვ.2

ელენე ხოშტარია შიმშილობას შეწყვეტს, თუ ოპოზიცია არჩევნებს ბოიკოტს გამოუცხადებს

„ოპოზიციური პარტიების გაუქმებით, პოლიტიკოსების ციხეში გაშვებით, შეიძლება გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვან“

ლევან ალაფიშვილი: „მმართველი ძალა უნდა დაფიქრდეს, თუ სადამდე შეიძლება მივიდეს ეს პროცესი“

გვ.3

„საკუთარი პოზიციის დაფიქსირების გამო, სახელმწიფომ ადამიანი არ უნდა შეავიწროვოს“

გვ.3

ვახტანგ მაისაია: „მეგობარი აქტის“ მიღების შემდეგ საქართველოს ხელისუფლება სრულ იზოლაციაში მოექცევა“

ისტორიები

ნიკოტინი და სილამაზე ერთმანეთთან შეუთავსებადია

გვ.5

ფრანგი ქალები – ქალური სილამაზის საიდუმლოებების შესახებ

უნგრეთმა უკრაინის ევროკავშირში შესვლასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები დაბლოკა

გვ.6

2 „ორ ბანკს რომ ბაზრის ასეთი დიდი ნაწილი უჭირავს, ეს ჯანსაღი ვერ იქნება, საქმე ოლიგოპოლიასთან გვაქვს“

3 განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტთან დაკავშირებით ორი პირი დააკავეს

4 „ტურიზმი აღარ არის ის სექტორი, რომელიც ითვლებოდა შემოსავლიანად – უმრავლესობა წავიდა სფეროდან“

6 აშშ-ის პრეზიდენტმა ირანის სულიერ ლიდერს მიმართა

1993230720223

შეგიძლიათ, „ახალი თაობის“ ელექტრონული ვერსია გამოიწეროთ.
ტელ.: 577 46 06 59

2025, 30 ივნისი, №123

კალაძე ივანიშვილის „ოჯახის წევრია“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი გოჩა მირცხულავა პასუხობს.

„კობახიძის დიდი ტყუილი, ბოლო 12 თვეში ოთხი ჰესი აშენდაო. წარმოგიდგენიათ?! 12 თვე ორსართულიანი სახლის აშენებას არ ჰყოფნის და ჰესი აშენდა 12 თვეში? თანაც ოთხი?!“

– გოჩა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებს? ოპოზიციის ლიდერების დიდი ნაწილი ციხეშია, ერთ-ერთმა ოპოზიციონერმა ლიდერმა, ელენე ხოშტარიამ, შიმშილობა დაიწყო.

– ის, რასაც ბოლო პერიოდის განმავლობაში „ქართული ოცნება“ აკეთებს, დააკვირდით, თითქოს მათთვის არაბუნებრივი არაფერი ხდება, ეს მათი სულიერი გამოხატულებაა. მათ მოსწონთ სხვა ადამიანების ჩაგვრა. რა მნიშვნელობა აქვს, ვინმეს ქუჩაში ძალის გამოყენებით გადაუვლიან, თუ სასამართლო პროცესებით შეძლებენ ცალკეული პოლიტიკური ლიდერების დაკავებას. ეს მათი ბუნებაა. ამ მიმართულებით მათი შესაძლებლობები ამოწურული არ არის.

– კიდევ რას ელოდებით?

– დიახ, ისინი არაერთხელ შეეცდებიან გაგვაკვირვონ თავისი სხვადასხვა ქცევით, ადამიანთან მოპყრობის თვალსაზრისიდან გამომდინარე. რაც შეეხება ელენე ხოშტარიას, სიმართლე გითხრათ, სხვადასხვა ეტაპზე შიმშილობის წინააღმდეგი ვიყავი. შიმშილობა პოლიტიკური აქტი თუ არის და რაიმე შედეგს იძლევა, მაშინ შეიძლება ამის გაკეთება. მით უფრო, რომ ელენეს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები აქვს. მისი ჯანმრთელობა კი ძალიან მნიშვნელოვანია. სხვა ბევრი გარემოების გათვალისწინებით, ელენემ მხოლოდ შიმშილობა კი არ დაიწყო, მან თქვა, რომ ამ რეჟიმის დასამხობად საჭიროა ქმედითი ღონისძიებები. ახსენა სიტყვა რევოლუციაც.

– მისი ეს ნათქვამი როგორ გაიგეთ? რა სახეს და ხასიათს შეიძენს ეს ყველაფერი? რაიმე ახალს ხომ არ მივიღებთ?

– ნებისმიერი პროტესტი, პოლიტიკურ მდგენელთან ერთად, ემოციურ მდგენელს მოიცავს. ადამიანები როდესაც აცნობიერებენ, რომ მათ რაღაც საფრთხე ელოდებათ, ისინი იწყებენ ამ პოლიტიკური პროცესის შეფასებას და ეს გადადის ემოციურ ჭრილში. დღეს ელენეს ეს თავგანწირვა არის ძალიან მნიშვნელოვანი, მით უმეტეს, როცა მას რამდენიმე ადამიანიც შეუერთდა. მე ვფიქრობ, რაც ახლა აკლია ამ პროცესს, ეს არის გარკვეულწილად ემოცია.

– ელოდებით პროტესტის გამოცოცხლებას?

– ერთი მდგომარეობა, რომელიც ამ წუთას არის, მუდმივად ვერ შენარჩუნდება. მისი ტრანსფორმაცია უნდა მოხდეს, ან კიდევ უფრო მეტ მილევამდე, ან გაძლიერებამდე. მილევას არ ველოდები, შესაბამისად, ვფიქრობ, რომ ეს პროცესი კიდევ უფრო გააქტიურდება. ამის კატალიზატორი იქნება თუ არა ეს შიმშილობა, არ ვიცი. პოლიტიკური ლიდერების დაკავებამ ეს ემოციები სოციალური ქსელების მიღმა ვერ გაიტანა. აქედან გამომდინარე, ამ კონკრეტული აქტიდან რა შეიძლება დავინახოთ, როგორ გავრცელდება ის საზოგადოების ემოციაზე, ამას ვნახავთ სულ რამდენიმე დღეში. პროცესი ასე რომ არ დასრულდება და ვერც ამ რეჟიმში შენარჩუნდება, ეს ცხადია.

– გასული კვირის ბოლოს, ირაკლი კობახიძე წარსდგა პარლამენტში. მისი თანაგუნდელების ქება-დიდებაც მოვისმინეთ, ბოლოს ხუმრობდნენ, ივანიშვილი არ გაანაწყენონ ამდები ქება-დიდებითო. თქვენ რა ამოიკითხეთ მის განცხადებებში და გზავნილებში? ბევრისგან მოვისმინე, რომ ჩვენ ახლა ვხედავთ მემკვიდრის მზადების პროცესს.

– მე ამაზე ძალიან ადრე ვთქვი, რომ კობახიძე მემკვიდრედ ბიძინას უნდა თუ არა, ამას არა აქვს მნიშვნელობა, კობახიძეს რომ უნდა მემკვიდრეობა, ამას აქვს მნიშვნელობა. მას მიაჩნია, უკვე საკუთარი თავი მემკვიდრედ. ამ მოხსენებას დავუბრუნდები და გეტყვით, რომ ეს იყო პროპაგანდისტული მოხსენება „ქართული ოცნების“ მომხრეებისთვის, ბაბლისთვის. იმდენი ტყუილი ითქვა, რომ მეტი არ შეიძლება. ნატოსთან თანამშრომლობას ვაგრძელებთო და 2023 წლის შემდეგ საქართველოში არანაირი სწავლება არ ჩატარებულა. ასევე კობახიძის დიდი ტყუილი, ბოლო 12 თვეში ოთხი ჰესი აშენდაო. წარმოგიდგენიათ?! 12 თვე ორსართულიანი სახლის აშენებას არ ჰყოფნის და ჰესი აშენდა 12 თვეში? თანაც ოთხი?!

– თუმცა სხვა გზავნილებიც იყო მისგან, ვიღაცამ ნარკოტიკით იშოვა დიდი ფული, ვიღაცამ ფულის მოპარვა დაიწყოო. ვისმენთ შეფასებებს, რომ უკვე საკუთარ თანაგუნდელებზე გადავიდნენ და მათი გაპარსვა მიდის. ამ ჭრილში ძალიან ბევრს საუბრობენ კახა კალაძეზე, რომ უკვე რამდენიმე კვირაა, მას პროკურატურა უზის. გაქვთ მოლოდინი, რომ შესაძლოა კალაძე დაიჭირონ?

– კალაძის თემას ხშირად ვიღაც შეგნებულად გამოაგორებს ხოლმე. მე ვფიქრობ, რომ კალაძე არის ივანიშვილის „ოჯახის წევრი“, თუმცა საკუთარი „ოჯახის წევრების“ გაწირვის არაერთი მაგალითი გვაქვს ნანახი. ერთს ვიტყვი, დღეს კალაძეზე დგას ივანიშვილის უამრავი ბიზნესინტერესი. მე არ ვფიქრობ, რომ ამ წუთას რაღაც გადაწყვეტილებები იქნება კალაძესთან დაკავშირებით მიღებული. მით უფრო, რომ სულ რამდენიმე ხნის წინ, სწორედ კობახიძემ თქვა, რომ ზუსტად ვიცი, კალაძე იქნება ქალაქის მერიო. იმიტომ, რომ ეს აწყობილი მექანიზმია, ფულის საჭრელი. რას დაამსგავსეს ქალაქი.

– ანუ ამ ეტაპზე არ აწყობთ კალაძის დაჭერა?

– მე ასე არ ვფიქრობ. კალაძე ივანიშვილის ოჯახის წევრია, რომელიც ამ წუთას ძალიან სჭირდება.

– მაშინ ვის გაწირავენ, შეიძლება ეს ღარიბაშვილი იყოს?

– ამ შემთხვევაში გვარებს მნიშვნელობა არ აქვს. კობახიძეს მიეცა კარტბლანში. აქედან გამომდინარე, კობახიძემ სალაროში უნდა მიიტანოს ფული. ამ სალაროში ფულის მისატანად მას სჭირდება საკუთარი ადამიანები სხვადასხვა ადგილზე. ამ შემთხვევაში, ან ძველები უნდა აქციოს საკუთარ ადამიანებად, ან ისინი უნდა ჩაანაცვლოს. შესაბამისად, ჩანაცვლების პროცესი მიდის. როგორც ჩანს, ძველებს არ ენდობა კობახიძე და მისი გუნდი. ამ ადამიანებმა ერთი რამ ვერ გაიგეს, ეს ნაძარცვი ქონება ბოლოს არავის არ შერჩება. ესენი ფულზე დახარბებული ადამიანები არიან. ფული არის ის ღმერთი, რომელსაც ისინი აღიარებენ. ივანიშვილსაც კი არ აღიარებენ. ივანიშვილი უამრავი ადამიანისთვის არის ინსტრუმენტი იმისათვის, რომ იშოვონ ფული. სტანდარტული კორუფციული სისტემა არსებობს ქვეყანაში და პერსონებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მიქაუტაძე მოიპარავს ფულს და სადღაც ვილას აიშენებს, თუ სხვა ვინმე, ამას აქვს რამე მნიშვნელობა?!

– მიქაუტაძეს მიაყოლეს ეკონომიკის მინისტრიც.

– აქ სულ სხვა კონტექსტია. ერთმანეთთან კავშირი არ აქვს. ლევან დავითაშვილის მოხსნა მართლაც ძალიან მნიშვნელოვანია.

– აბა რა კონტექსტია?

– აქ ძალიან მნიშვნელოვანი რაღაც მოხდა. ლევან დავითაშვილი მესენჯერი იყო დასავლეთთან ურთიერთობაში და კერძოდ შეერთებულ შტატებთან. ბოლო ვიზიტი ოფიციალური პირებისა, ფორმალური და არაფორმალური, ჰქონდა ორ ადამიანს, ლილუაშვილსა და დავითაშვილს. დღეს არცერთი აღარ არის თანამდებობაზე. როგორც ჩანს, კონკრეტული ამოცანები, რომელიც მათ განუსაზღვრეს, ეს ამოცანები ვერ შესრულდა, ხოლო ამ შეუსრულებელი მისიის შემდეგ, ისინი წარმოადგენენ ბალასტს. არავის არაფერში არ სჭირდებათ. ქვეყანაში ეკონომიკის მინისტრიც ივანიშვილია, შს მინისტრიც და ასე შემდეგ. ეს კაცი, თავისი მოადგილის, კობახიძის მეშვეობით მართავს ამ სამინისტროებს. საქართველო ივანიშვილისთვის ბიზნესკორპორაციაა და მას საერთოთ არ ესმის, რა ჯანდაბა უნდა ამ ხალხს. რატომ არიან უკმაყოფილოები. თავის კანტორად მიიჩნევს ამ ქვეყანას. ივანიშვილი პოლიტიკოსი არ არის, ის ჩვეულებრივი „ხიშნიკია“, რომელიც ცდილობს, რომ ნებისმიერი გარიგებიდან იმოქმედოს ისე, რომ მიიღოს სარგებელი. თუმცა ივანიშვილმა ისიც კარგად იცის, რომ ბევრ რამეს კარგავს ახლა. ძალიან საინტერესო იყო დიდი ბრიტანეთის საელჩოს მიერ გავრცელებული ინფორმაცია სანქციებთან გვერდის ავლის ფორმებთან დაკავშირებით, რომლითაც უთხრეს საქართველოს ბიზნესმენებს, რა შემთხვევაში შეიძლება მათი დასანქცირების მომენტი დადგეს.

– რით დაასრულებს „ოცნება“? პროცესების როგორ განვითარებას ელით?

– „ოცნებას“ რაც სჭირდება არის ის, რომ როგორმე ჩაატაროს არჩევნები. პროცესი მიათრიოს ამ არჩევნებამდე. ამ პერიოდში მოახდინოს ყველა პოლიტიკური ძალის მარგინალიზება. მე ძალიან არასერიოზულად ვუყურებ იმაზე გაბრაზებას, რაც ალეკო ელისაშვილმა თქვა, მე არჩევნებში მონაწილეობას მივიღებო. ალეკო 3-კაციანი პარტიის წარმომადგენელი თუ მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას, ანუ ისევ „ოცნება“ მიიღებს, მე ასე ვუყურებ ამას. ნამდვილად არ მიმაჩნია, რომ იოსელიანი-ელისაშვილის ტანდემს რამე დაემართა, ან დაემუქრა. იოსელიანს პერსონალური ვალი აქვს სახალხო დამცველად დანიშვნასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ელისაშვილი მიიღებს თუ არა მონაწილეობას, ამას მნიშვნელობა არ აქვს და ეს არაფერს შეცვლის. უბრალოდ, პროცესის მითრევა უნდათ. არც იმას გამოვრიცხავ, რომ ვიღაც ახალი შემოაგდონ. თუმცა, ამისთვის ცოტა დრო რჩება. ასე „ხავერდოვნად“ უნდათ, რომ მივიდნენ არჩევნებამდე.

– მივლენ კი? ხომ შეიძლება უცებ ამოყირავდეს სიტუაცია?

– რა თქმა უნდა, ასეთი მკაცრი განცხადებები, რაც ბოლო დღეებია ევროსაბჭოში კეთდება, მეც კი არ მომისმენია. სიტუაცია საგანგაშოა. ასე ვერ გაგრძელდება. თუ რა წნეხი წავა ამათზე, ამას უახლოეს მომავალში ვნახავთ. დასავლეთს რადიკალურად მოუწევს ამ რეჟიმთან ურთიერთობა. ესენი კეთროვნები არიან, არავის არ სჭირდება მათთან ურთიერთობა. ორბანსაც კი მალე ყელში ამოუვა ამათი ვიზიტები და მასპინძლობა.

ელენე ხოშტარია შიმშილობას შეწყვეტს, თუ ოპოზიცია არჩევნებს ბოიკოტს გამოუცხადებს

„კოალიცია ცვლილებისთვის“ ერთ-ერთი ლიდერი ელენე ხოშტარია აცხადებს, რომ შიმშილობას შეწყვეტს იმ შემთხვევაში, თუ ოპოზიციური ძალები ერთობლივად გადაწყვეტენ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში არმონაწილეობას.

„თუ ეს სიცხადე ჩამოყალიბდება... თუ პრინციპულად შევთანხმდებით ნულოვან ართანამშრომლობაზე, არშეგუებაზე, არაღიარებაზე – მაშინ ჩემი ენერგია ამ ბრძოლას მოხმარდება,“ – აღნიშნა ხოშტარიამ ტელეკომპანია „პალიტრანიუსის“ ეთერში.

ოპოზიციური ლიდერის თქმით, ბრძოლისთვის აუცილებელია შეთანხმებული მოქმედება და მკაფიო სტრატეგია, თუნდაც განსხვავებული ხედვების კორექტირებით.

„ადამიანური თანაგრძნობაა მოშიმშილე პოლიტიკოსებთან საუბარი“ — ფიშერის პასუხი პაპუაშვილს

– ადამიანური თანაგრძნობაა მოშიმშილე პოლიტიკოსებთან საუბარი. ელენე ხოშტარიასთან და გედევან ფოფხაძესთან, „ქართული ოცნების“ ყოფილ პარლამენტართან.

„თუ ჩვენთან არ ხარ, მტერი ხარ“, – ატმოსფეროს პოპულარიზაცია ხდება. ეს მენტალიტეტი დემოკრატიის საწინააღმდეგოა და „ევროკავშირის წევრობას 2030 წლისთვის“ ილუზიად აქცევს“, – წერს გერმანიის ელჩი პეტერ ფიშერი X-ზე.

ფიშერმა გუშინ პარლამენტთან ელენე ხოშტარია და გედევან ფოფხაძე მოინახულა. ამის შემდეგ, შალვა პაპუაშვილმა დიპლომატს „თვითმკვლელობის ხელშემწყობი“ უწოდა.

„ახლა ზუსტად ის დროა, როდესაც ყველა ერთად უნდა გავიდეთ ქუჩაში...“ — თემურ ქათამაძე შიმშილობას იწყებს



თემურ ქათამაძე, რომელსაც საზოგადოება „ბათუმელი მედროშის“ სახელით იცნობს, სტამბოლიდან ემოციურ გზავნილს ავრცელებს. ქათამაძე ელენე ხოშტარიას მიერ რუსთაველის გამზირზე დაწყებულ პროტესტის უკიდურეს ფორმას უერთდება და თავადაც შიმშილობას აცხადებს. ბათუმელი მედროშის წერილს გამოცემა „ბათუმელები“ აქვეყნებს.

– გულანთებულო მამულიშვილებო, თანამებრძოლებო! საზღვარგარეთიდან ვუერთდები ელენე ხოშტარიას მიერ რუსთაველის გამზირზე დაწყებულ პროტესტის უკიდურეს ფორმას და მეც ვაცხადებ შიმშილობას! ყველა მოშიმშილესადმი გამოვხატავ ჩემს სრულ მხარდაჭერასა და სოლიდარობას! ჩვენი სამშობლოს გადარჩენისთვის ამ რთული ბრძოლის უკვე ბოლო ფაზაში შესული ვართ, – წერს ქათამაძე.

მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს შესაძლოა, უკანასკნელი შანსი იყოს: „თუ ახლა ვერ ვაჩვენეთ ჩვენი ძალა, ხვალ ამის შესაძლებლობა აღარ გვქონდეს“.

ახლა ზუსტად ის დროა, როდესაც ყველა ერთად უნდა გავიდეთ ქუჩაში და დავასრულოთ ეს დიქტატურა – კოშმარი სამუდამოდ! – წერს თემურ ქათამაძე.

„ორ ბანკს რომ ბაზრის ასეთი დიდი ნაწილი უჭირავს, ეს ჯანსაღი ვერ იქნება, საქმე ოლიგოპოლიასთან გვაქვს“

„ლიბერთისა“ და „ბაზისბანკის“ გაერთიანების იდეა ცუდი არაა, მაგრამ არ მგონია, მესამე „დიდი“ ბანკის ცნება მივიღოთ“, – ამის შესახებ „ბიზნესპრესნიუსთან“ ეკონომისტმა, სოსო ბერიკაშვილმა განაცხადა.

მისი თქმით, „საქართველოს ბანკი“ და „თიბისი“ იმდენად წინ არიან, რომ მათ კონკურენციაში ჩარევა ორი ბანკის გაერთიანებითაც რთული ამოცანაა.

– ის, რომ ორ ბანკს ბაზრის ასეთი დიდი პროცენტი უჭირავს, ცხადია, ჯანსაღი არ არის. საქმე გვაქვს ოლიგოპოლიასთან, რაც კარგ ამბად ნამდვილად ვერ აღიქმება და მეტი კონკურენცია უკეთესი იქნებოდა, მაგრამ თავისი პლუსები ამ მოცემულობასაც აქვს. კერძოდ, სტაბილურობის მხრივ, უკეთესია, როცა ყველაფერს ორი ასეთი დიდი ბანკი აკონტროლებს – ეროვნული ბანკის მიზანიც ხომ სწორედ სტაბილურობაა?!

რაც შეეხება „ბაზისბანკისა“ და „ლიბერთი ბანკის“ შესაძლო გაერთიანებას, როგორც ვიცი, „ლიბერთი“ მე-3 ადგილზე ახლაც არის და, ამ პირობით, მესამეობის სტატუსს კიდევ უფრო გაიმყარებენ. თანაც, „ლიბერთის“, საჯარო სექტორის სახით, დიდი ბაზა აქვს, რაც მნიშვნელოვანი პლუსია. მთლიანობაში ამ გაერთიანების იდეა ცუდი არაა, თუმცა, არ მგონია, მესამე „დიდი“ ბანკის ცნება მივიღოთ, რადგან „საქართველო“ და „თიბისი“ ძალიან წინ არიან, – აღნიშნა ბერიკაშვილმა.

ISSN 1987-9385

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალაკაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკვერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ოპოზიციური პარტიების გაუქმებით, პოლიტიკოსების ციხეში გაშვებით, შეიძლება გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვან“

ნათია ხურცილავა

კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ლევან, ქვეყანაში ბოლო დღეებში განვითარებული მოვლენები თქვენთვის რაზე მიანიშნებს? რვა ოპოზიციონერი ლიდერი ციხეშია. ორმა შიმშილობა დაიწყო.

– საბჭოთა კავშირის, რუსეთისა თუ ბელარუსის კოპირება და აღდგენა საქართველოში არ გამოვა. ამ ქვეყნებისგან განსხვავებით, ჩვენთან რესურსები საკმაოდ შეზღუდულია. მეორე, საქართველოს მოსახლეობამ დემოკრატიაში იცხოვრა. შესაბამისად, დემოკრატიას გემო გაუგო. ამის მეტი შესაძლებლობა ჰქონდა, განსხვავებით ჩემ მიერ დასახელებული ქვეყნებისა.

საქართველოს ახალგაზრდა ნაწილმა 2019 წელს დაადასტურა, რომ ის დემოკრატიულ მმართველობას, მის მონაპოვარს არაფრის დიდებით არ დათმობს.

ეს საზოგადოება ყოველ დღე უმტკიცებს თავის ხელისუფლებას, რომ ის მზად არის საკუთარი თავისუფლების ხარჯზე დაიცვას დემოკრატია ამ ქვეყანაში. რაოდენ მძიმეც არ უნდა იყოს ეს საფასური, ის გადაიხდის და ღირსებას დაიცავს. პირველ რიგში, ამ ქვეყნის ღირსებას, რომელიც დემოკრატიულ ღირებულებებზე გადის.

პოლიტიკური პარტია არის ერთადერთი ინსტრუმენტი, რომ ძალაუფლება აიღო ხელში და მოხვიდე ხელისუფლებაში. დემოკრატიაში სხვა ინსტრუმენტი არ არსებობს. სხვა დანარჩენი დამხმარე საშუალებებია. მაგალითად, მედია საზოგადოებას ეხმარება ინფორმირებული არჩევანის გაკეთებაში, არასამთავრობო სექტორი კიდევ რაღაცაში და ა.შ.

თუ პოლიტიკურ პარტიას გააუქმებ და ოპოზიციას გაუშვებ ციხეში, ეს დემოკრატიული განვითარების პროცესს ნამდვილად შეაფერხებს, შეიძლება შეაჩეროს კიდეც, მაგრამ საერთოდ პროცესს ვერანაირად ვერ შეაჩერებს. მერე იწყება ის ეტაპი, როდესაც ხალხი იღებს საკუთარ თავზე პასუხისმგებლობას.

– რამაც ბევრად უფრო მძიმე და რთული რეალობა შეიძლება მოიტანოს.

– დიახ, შეიძლება გაბრაზებული ხალხი ქუჩაში გამოვიდეს და ისეთი უმართავი გახდეს პროცესები, რომ ვერავინ იყოს შემაკავებელი. შეიძლება გამტარი აღარ არსებობდეს ან შეიძლება იყოს, მაგრამ ხალხი უკვე თვითონ იღებს სადავეებს ხელში და ხელისუფლებას ძალაუფლების დაბრუნებას სთხოვს. არათუ სთხოვს, უკვე ეს სხვა ფორმაში გადადის.

მმართველი ძალა უნდა დაფიქრდეს, თუ

ლევან ალაფიშვილი: „მმართველი ძალა უნდა დაფიქრდეს, თუ სადამდე შეიძლება მივიდეს ეს პროცესი“

სადამდე შეიძლება მივიდეს ეს პროცესი. ოპოზიციური პარტიების გაუქმებით, პოლიტიკოსების ციხეში გაშვებით და ამ გზით მათი განეიტრალებით შეიძლება, ბევრად უარესი რეალობა გამოიწვიო. ხალხის პირისპირ დარჩენილი მმართველი ძალა, კუთხეში მიმწყვდეული იქნება და შეიძლება გამოუსწორებელი შეცდომა დააშვებინოს არსებულმა ვითარებამ.

მერწმუნეთ, ეს არ იქნება ადვილი პროცესი. ოპოზიციის, საზოგადოების აქტიური ნაწილის განეიტრალებითა და შეზღუდვით „ქართული ოცნება“ ვერანაირ მიზანს ვერ მიაღწევს, რადგან პროცესში ხალხი და მისი ნებაა მთავარი.

– ამას ვერ აცნობიერებენ?

– ჰგონიათ, რომ პროცესის სადავეები არ გაექცევათ ხელიდან, რომ გააკონტროლებენ, მაგრამ ასე ეგონა ბევრს. მერწმუნეთ, პროცესში მთავარი გადამწყვეტი ძალა სწორედ ხალხს აქვს.

სავარაუდოდ, პოლიტიკური თუ სინდისის პატიმრების ან გნებავთ ოპოზიციის ლიდერების ციხეში გამომწყვდევა სჭირდებათ ე.წ. ვაჭრობისთვის დასავლეთთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან თუ ევროკავშირთან.

ასეთი ვაჭრობის მაგალითი უკვე იყო ბელორუსში. ეს ხალხი ციხეში ვიღაცისთვის ერთგვარ კაპიტალს წარმოადგენს. განსაკუთრებული წონა აქვთ ამ პატიმრებს, მაგრამ ეს საქართველოა და არა ბელარუსი ან რუსეთი. სანაცვლოდ ვერაფერს მიიღებენ. აქ არ ივაჭრებენ.

– რატომ ფიქრობთ ასე?

– იმიტომ, რომ ეს იქნება თვითაღიარება, ლუსტრაცია, რომ დემოკარტიას დაემუქრნენ, რომ დემოკარტიულ განვითარებაზე უარი თქვეს. ბელორუსში და რუსეთში დასავლეთმა მშვენივრად იცის, რომ დემოკრატია არ არსებობს, რომ იქ დემოკრატიას ვერ გააუქმებ, რაც არ არის, იმას ვერ გააუქმებ. ამიტომ, არ გამოვრიცხავ, რომ დასავლეთის რეაქცია ამაზე ძალიან მწვავე და მკაცრი იყოს.

„ახალი თაობის“ კითხვებს პოლიტოლოგი ვახტანგ მაისაია პასუხობს.

„საკუთარი პოზიციის დაფიქსირების გამო, სახელმწიფომ ადამიანი არ უნდა შეავიწროვოს“

ვახტანგ მაისაია: „მეგობარი აქტის“ მიღების შემდეგ საქართველოს ხელისუფლება სრულ იზოლაციაში მოექცევა“

კოტიკო გოგინაშვილი

– ბატონო ვახტანგ, ოპოზიციონერმა პოლიტიკოსებმა შიმშილობა დაიწყეს. რა შედეგს მოიტანს პროტესტის ეს ფორმა?

– შიმშილობის პროტესტი მე ჩემს თავზე მაქვს გამოცდილი. პროტესტის მსგავს ფორმას ციხეში მივმართავდი. ახლა, ამ ეტაპზე შიმშილობის აქცია არის საზოგადოებრივი ძალების მობილიზება, რათა რეპრესიული რეჟიმი დასუსტდეს. შიმშილობის აქტი არის დაპირისპირების უკიდურესი ფორმა. ავტოკრატიული რეჟიმი მძლავრობს. მსგავსი ქმედებები, რაც შიმშილობის აქტს უკავშირდება, ადამიანების მობილიზებას იწვევს. ეს იყო იძულებითი ნაბიჯი. ეს არის მაჰათმა განდის სტრატეგია, რომელმაც თავის დროზე ინდოეთს თავისუფლება მოუტანა.

– რატომ სჯის „ქართული ოცნება“ ადამიანებს კრიტიკული პოსტების გამო?

– ეს ნაბიჯი არის ტოტალიტარიზმის წინაპირობა. საბჭოთა კავშირის დროს იყო მსგავსი ცენზურა. საბჭოთა კავშირი ცენზურას ხელიდან არ უშვებდა. 1987 წელს გორბაჩოვმა ცენზურა მოხსნა. საბჭოთა კავშირის მმართველობა დიფ სთეითის არაფორმალური მმართველობის მაგალითი გახლდათ. დღეს ჩვენ ვნახეთ საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის ნაირსახეობა. საკუთარი პოზიციის დაფიქსირების გამო, სახელმწიფომ ადამიანი არ უნდა შეავიწროვოს.

– დასავლელი პარტნიორებისგან სანქციების ახალი პაკეტი წამოვა?

– ბრიტანეთისგან და ამერიკისგან ნამდვილად წამოვა. შესაძლოა, საფრანგეთიც ჩაერთოს.

– რა შედეგს გამოიღებს „ქართული ოცნებისთვის“?

– თავის დროზე ეკონომიკურმა სანქციებმა საბჭოთა კავშირის პოტენციალი შეარყია. რეიგანის სანქციებმა საბჭოთა კავშირი მარტივ მამრავლებად დაშალა. ბევრს ჰგონია, რომ მხოლოდ ავღანეთის ომმა დააზარალა საბჭოთა კავშირი. სინამდვილეში საბჭოთა კავშირი დასავლურმა სანქციებმა დაშალა. საბჭოთა კავშირს ფინანსური შესაძლებლობები გაუნულდა. ასეთ დროს შენ გეზღუდება შენივე რესურსების გამოყენების უნარი. ეს იწვევს ეკონომიკურ დესტაბილიზაციას.

– „მეგობარი აქტის“ დამტკიცების შემდეგ, რა პროცესები დაიწყება საქართველოში?

– „მეგობარი აქტის“ დამტკიცების შემდეგ „ქართულ ოცნებას“ მოუწევს ახალი ეკონომიკური პარტნიორის მოძიება, რომელიც დასავლური სანქციების კომპენსაციას მოახერხებს. რუსეთმა ირანის დასახმარებლად თითი არ გაანძრია. კრემლმა ირანის დასაცავად არაფერი გააკეთა. ამიტომ რუსეთი „ქართული ოცნების“ სანდო მოკავშირე ვერ იქნება. ჩინეთი დასავლეთის სანქციებს შეუერთდება. მმართველ პარტიას დარჩება მხოლოდ ჩრდილოეთ კორეა და ირანი. თეორიულად ბელარუსიც შეიძლება ჩავთვალოთ, როგორც მოკავშირე. თუმცა, ბელარუსს თავისი გასჭირვებია. საქართველოს ხელისუფლება სრულ იზოლაციაში მოექცევა. ჩვენი ეკონომიკა მწარმოებელი არ არის. ის არის მომხმარებლითი.

– რა შედეგით დასრულდა ირან-ისრაელის ომი? რა როლი ჰქონდა ამ დაპირისპირებაში ამერიკას?

– ირან-ისრაელის ომი იყო დაბალი ინტენსივობის მქონე სამხედრო კონფლიქტი. ამ დაპირისპირების შედეგად ირანის ბირთვული პროგრამა დასუსტდა. ისრაელის მიზანი იყო ირანის პოლიტიკური სისტემის მოშლა. ეს ბრძოლა დასრულდა საბრძოლო ფრედ. მას შემდეგ, რაც არაბულმა ქვეყნებმა ისრაელზე იერიშები მიიტანეს, ისრაელი ფენიქსივით აღდგა და საბრძოლო ფრე დააფიქსირა. ამ ომმა მარტივ მამრავლებად დაშალა არაბული ქვეყნების პოლიტიკური სივრცე. ამერიკის ჩართვა ლოგიკური იყო. ამ ომით ირანის სპეცსამსახურებმა სერიოზული კრახი განიცადეს. ისრაელმა თავის მიზანს მიაღწია. ირანის ბირთვული პროგრამა შეფერხდა. ეს სერიოზული დარტყმა იყო ირანის ბირთვულ პროგრამაზე, მაგრამ არა ირანის სახელმწიფოებრიობაზე.

სამართალი

მცხეთაში ექსკურსიაზე მიმავალ ავტობუსს ავტომაგისტრალზე ცეცხლი გაუჩნდა

ბაღდათიდან მცხეთაში მიმავალ ექსკურსიის ავტობუსს ცეცხლი გაუჩნდა. ინფორმაციას „ინფო იმერეთი“ ავრცელებს.

მედიის ცნობით, შემთხვევა ავტომაგისტრალზე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ბორითში მოხდა.

ავტობუსის ბოლო ნაწილში გაჩენილი ხანძარი და დაკვამლიანება უკან მომავალმა მანქანებმა შენიშნეს და მძღოლს ტრანსპორტის გაჩერებისკენ მოუწოდეს.

– გვანიშნებენდნენ, გააჩერეთ ავტობუსიო, უკან რომ მოვიხედეთ კვამლი და ცეცხლი იყო. დენის კაბელებს გაუჩნდაო, უცებ ჩავუშვით ბავშვები და შემდეგ ჩავედით დიდებიც. ძალიან შეგვეშინდა, პოლიციაც მოვიდა. ამ ავტობუსით გავაგრძელეთ ექსკურსია, მაგრამ ერთ მშობელს და ბავშვს შეეშინდა და აღარ გამოგვყვნენ, – უთხრა ადგილზე მყოფმა თვითმხილველმა „ინფო იმერეთს“.

ბავშვები ბაღდათის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი სკოლის მოსწავლეები არიან.

შსს: პოლიციამ ნარკოდანაშაულის ბრალდებით სამი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, თბილისის პოლიციის დეპარტამენტის, ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, სხვადასხვა დროს ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ნარკოდანაშაულის ბრალდებით სამი პირი დააკავეს.

მათივე ინფორმაციით, დანაშაული 20-წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღების და მარიხუანის უკანონო შეძენა-შენახვის, გასაღების და გასაღების მცდელობის ბრალდებით 1995 წელს დაბადებული გ.ს., წარსულში ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი 1985 წელს დაბადებული ვ.კ., და ნიგერიის მოქალაქე 1988 წელს დაბადებული მ.ა. დააკავეს.

დანაშაული 20-წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პოლიციამ მოსამართლის განჩინების საფუძველზე განახორციელა ნარკოტიკების საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ფარული აუდიო-ვიდეოჩაწერა.

სამართალდამცველებმა ბრალდებულების პირადი, ავტომობილების და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკის შედეგად, ასევე, საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს, მათ მიერ მითითებული ლოკაციებიდან ნივთმტკიცებად ამოიღეს სარეალიზაციოდ განთავსებული ნარკოტიკული საშუალება „გამომშრალი მარიხუანა“ და „მეთადონი“.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე ტერცია, 19-260-ე ტერცია და 273-ე პრიმა მუხლებით მიმდინარეობს.

პოლიციამ ბათუმში განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტთან დაკავშირებით ორი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, პოლიციამ ბათუმში მომხდარ განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტთან დაკავშირებით ორი პირი დააკავა.

როგორც უწყებაში აღნიშნავენ, ერთ-ერთმა პირმა, მიმდინარე წლის 25 ივნისს, ბათუმში, ასევე, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც შესაბამისი სამედიცინო დახმარება ჩაუტარდა.

რაც შეეხება მეორე პირს, უწყების ცნობით, ის დანაშაულს შეესწრო, თუმცა მან მომხდარის შესახებ სამართალდამცველებს არ შეატყობინა.

აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული-სამძებრო ღონისძებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თურქეთის რესპუბლიკის ორი მოქალაქე: 2004 წელს დაბადებული ა.ა. და 2001 წელს დაბადებული ბ.ი. დააკავეს.

ა.ა.-ს ბრალად ედება განზრახ მკვლელობის მცდელობა, ასევე, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარება, ხოლო ბ.ი. განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობისთვისაა დაკავებული.

დანაშაულები 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ა.ა.-მ, მიმდინარე წლის 25 ივნისს, ბათუმში, ასევე, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე – 2000 წელს დაბადებული ე.ა. ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლის შედეგად დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც შესაბამისი სამედიცინო დახმარება ჩაუტარდა.

გამოძიებით, ასევე, დადგინდა, რომ დანაშაულს შეესწრო ა.ა.-ს თანმხლები პირი, ამჟამად ბრალდებულის სახით დაკავებული ბ.ი., თუმცა მან მომხდარის შესახებ სამართალდამცველებს არ შეატყობინა.

ჩატარებული ოპერატიული-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად სამართალდამცველებმა ორივე მათგანი ბრალდებულების სახით დააკავეს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 19-108-ე, 236-ე და 376-ე მუხლებით მიმდინარეობს.

შეგიძლიათ, „ახალი თაობის“ ელექტრონული ვერსია გამოიწეროთ.
ტელ.: 577 46 06 59

2025, 30 ივნისი, №123

ერთიანი პოლიტიკა

ელენე ხოშტარია: „აგერ არის ჩემი სიცოცხლეც, თავისუფლებაც და მაინც ვერ მოგვერევით...“

მარიამ მჭედლიშვილი

პროტესტის მორიგი აზვირთება და შიმშილობის აქცია

29 ივნისს თბილისში მასშტაბური აქცია გაიმართა. 2024 წლის 28 ნოემბრიდან მიმდინარე საპროტესტო მოძრაობას ახალი ბიძგები და ტრიგერები დაერთო. მათ შორის, გისოსებს მიღმა მყოფი სხვადასხვა პროფესიის ადამიანებისა და სტუდენტების რიგები პოლიტიკოსებმაც შეავსეს; ზოგიერთი დაკავებული აქტივისტის ოჯახის წევრი დარდს გადაჰყვა. ამ სიტუაციაში „კოალიცია ცვლილებისთვის“ ერთ-ერთმა ლიდერმა, ელენე ხოშტარიამ 27 ივნისს, საღამოს, აქციაზე შიმშილობა დაიწყო.

– რუსთაველზე ვიწყებ შიმშილობას, აქედან არ მოვიცვლი ფეხს. შიმშილობა არ არის თავგანწირული, უბრალოდ რაღაც სასოწარკვეთილი ნაბიჯი, ეს არის ძალიან მტკიცე გადაწყვეტილება. თქვენ თუ ვერ ხედავთ სიცოცხლის, თავისუფლების ფასს, თუ თქვენთვის გიორგი ახობაძის დედის სიკვდილი, ონისე ცხადაძის (დაკავებული აქტივისტების მშობლების) მამის გარდაცვალება არაფერს ნიშნავს, აგერ არის ჩემი სიცოცხლეც, თავისუფლებაც და მაინც ვერ მოგვერევით. ეს არის ჩემი განაცხადი „ქართული ოცნებისთვის“. მეორე განაცხადი არის ხალხისთვის – რევოლუცია და გარეთ, ქუჩაში ამათი დამხობა არის ერთადერთი გზა, – გამოაცხადა ელენე ხოშტარიამ.

28 ივნისს მას მიურთდა და ასევე შიმშილობა წამოიწყო ოპოზიციონერმა პოლიტიკოსმა გედევან ფოფხაძემ. იმავე დღეს პარლამენტთან შიმშილობას შეუდგა სამი სამოქალაქო აქტივისტი.

განაჩენები ოპოზიციონერების მიმართ და კიდევ ერთი დაკავება

გასულ კვირაში ერთმანეთის მიყოლებით გამოუტანეს განაჩენები იმ ოპოზიციონერებს, რომლებიც არ გამოცხადდნენ პარლამენტის დროებით საგამოძიებო კომისიაში. ზურაბ გირჩი ჯაფარიძეს და გიორგი ვაშაძეს მიესაჯათ 7-თვიანი პატიმრობა, ბადრი ჯაფარიძეს, მამუკა ხაზარაძეს და ნიკა მელიას – 8-თვიანი პატიმრობა. განაჩენებს ელიან კომისიაში არმისვლის გამო წინასწარ პატიმრობაში მყოფი ირაკლი ოქრუაშვილი და ნიკა გვარამია.

წინა კვირაში ამავე მოტივით დააკავეს ყოფილი დეპუტატი გივი თარგამაძე, რომელიც, სხვათა შორის, რუსეთის მიერ არის ძებნილი.

ზურაბ ჯაფარიძე განაჩენს წინასწარი დაკავების საკანში შეხვდა, დანარჩენები (მათ გირაო ჰქონდათ გადახდილი) – გარეთ.

დაკავებულებისა და გარეთ დარჩენილების გზავნილები დაახლოებით ასეთი იყო: „ბრძოლა გრძელდება, ვერ გაგვტეხენ, უნდა გავერთიანდეთ“.

ხელისუფლების ოპონენტები იმეორებდნენ, რომ პარლამენტის ახლანდელი საგამოძიებო კომისია შექმნილია ოპოზიციონერების დასაკავებლად და ისტორიის გადასაწერად.

– ამ ტიპის რეპრესიები არის ყოველთვის სისუსტის ნიშანი. ეს არის დასასრულის დასაწყისი. ეს რეჟიმი არის მისული იმ ეტაპამდე, რომ უკვე არაფერი ეშველება. ყველანი ერთად აქ უნდა ვიყოთ, სოლიდარობა გამოვუცხადოთ მათ. საზოგადოებამ სოლიდარობა უნდა გამოუცხადოს ყველა პოლიტპატიმარსა და სინდისის პატიმარს, – განაცხადა „წინააღმდეგობის პლატფორმის“ ლიდერმა, მეხუთე პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა.

– დადასტურდა, რომ ბიძინა ივანიშილი არის რუსული ყაიდის რუსი ოლიგარქი, რომელიც ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ გზიდან ჩამოიცილოს ყველა ის ადამიანი, რომელიც კრიტიკულად არის განწყობილი მის მიმართ. მას გადაწყვეტილი აქვს, რომ საქართველო გახდეს ბელარუსის მოდელი. გადაწყვიტა, რომ ყველაფერი გააუქმოს ამ ქვეყანაში, ყველანაირი ეროვნული ინტერესების დაზიანებაზე წავიდეს და დააკავოს ადამიანები, – ასე გამოეხმაურა პროცესს „ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი, ხატია დეკანოიძე.

კომისიის თავმჯდომარემ, თეა წულუკიანმა განაცხადა:

– პარლამენტში მე წარმოვადგენ „ქართული ოცნების“ ამომრჩეველს. „ლელოს“ ამომრჩევლისთვის მე არაფერი არ მაქვს ასახსნელი. „ლელოს“ ამომრჩეველს ასახსნელი რამე-რუმეები აუხსნას ხაზარაძემ, რომელიც ვერ უხსნის და ამიტომ, თავშესაფარი იპოვა ციხეში, რათა მას ამომრჩეველთან არ ჰქონდეს პასუხი საგები. ის შეგნებულად წავიდა თუ არა ციხეში, – მე არ ვიცი, მაგრამ ვიცი, რომ ის შეგნებულად არ მოვიდა კომისიის სხდომაზე.

ოპოზიციონერების დაპატიმრების გამო წუხილი გამოთქვა ბევრმა დასავლელმა პოლიტიკოსმა, თუ მოხელემ. მათ შორის, ცნობილმა ამერიკელმა სენატორმა, სენატის საგარეო კომიტეტის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, ჯინ შაჰინმა.

– საქართველოში დემოკრატიული ოპოზიციის ლიდერების გასამართლება და დაკავება სამართლიანობა არ არის, ეს რეპრესიების ნიმუშია. დაწერა მან. მოგვიანებით მან (სენატორ უიკერთად ერთად) განაცხადა, რომ ხელს შეუწყობენ „მეგობარი აქტის“ სენატში წინ წაწევას.

ევროკავშირის საგარეო უწყების პრესსპიკერის, ანიტა ჰიპერის შეფასებით, „პოლიტიკურად მოტივირებული დევნა და ოპოზიციონერი პოლიტიკოსების დაპატიმრება ეწინააღმდეგება ძირითად დემოკრატიულ ღირებულებებს. ეს არის ავტორიტარული ტაქტიკა, რომელიც ეწინააღმდეგება იმას, რასაც ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნისგან ელოდებიან. „ქართულმა ოცნებამ“ უნდა შეწყვიტოს სასამართლო სისტემის იარაღად გამოყენება“.

კომისიას გისოსებს მიღმა მყოფ პოლიტიკოსებთან ისევ აქვს შეკითხვები. კომისია მოუწოდებს მამუკა ხაზარაძეს, გიორგი ვაშაძეს, ნიკა მელიას, სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან ჩაერთონ კომისიის სხდომაში.

კომისია 2 ივლისს ასევე კიდევ ერთხელ იბარებს ყოფილ პრემიერს, „გახარია საქართველოსთვის“ ლიდერს, გიორგი გახარიას (ერთხელ ის კომისიაში იმყოფებოდა და შეკითხვებს პასუხები გასცა). უცხოეთის ტურნეში მყოფი გახარია მზადაა, დისტანციურად ითანამშრომლოს კომისიასთან, კომისია კი გახარიას პარლამენტში მისვლას მოითხოვს და შორიდან ჩართვის წინააღმდეგია. კომისიაში აცხადებენ, რომ გახარიამ შეიძლება გამორთოს მიკროფონი და შეკითხვებს პასუხები ბოლომდე არ გასცეს.

კომისიას სხდომაზე სხვა ოპოზიციონერების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების გვარებიც გაისმა. საუბარია იმ პირებზე, რომლებიც საზღვარგარეთ აქტიურობენ. მათ შორისაა მეხუთე პრეზიდენტი, სალომე ზურაბიშვილი. თეა წულუკიანი ამბობს, რომ ზურაბიშვილის დაბარება და მოსმენა საინტერესო არაა. მისივე სიტყვებით, ზურაბიშვილი (და მისი ქმედებები) შევა კომისიის საბოლოო დასკვნაში.

მორიგი რეგულაციები მედიისთვის და სხვა შეზღუდვები

წინა კვირაში „ოცნების“ პარლამენტმა მიიღო საკანონმდებლო ინიციატივები, რომლებიც იწვევს მედიის საქმიანობის შეზღუდვას. ახალი წესების თანახმად, ჟურნალისტები, ფოტოგრაფები



და ოპერატორები ძველებურად ვეღარ იმუშავებენ სასამართლოებში. გადაღებების უფლება მხოლოდ სასამართლოს მიერ უფლებამოსილ პირებს მიენიჭათ. მოსამართლის მიმართ უპატივცემულობის გამოხატვა ყველა მოქალაქისთვის დასჯადი გახდა.

გარდა ამისა, ძირეულად შეიცვალა კანონი „სიტყვისა და გამოხატვის შესახებ“. საზოგადოების ნაწილი ამ ყველაფერს რეპრესიულ კანონებს უწოდებს.

„ოცნების“ აღმასრულებელი მდივნის, მამუკა მდინარაძის თქმით, „ცვლილების შედეგად მტკიცების ტვირთი დამბრალებელზე გადავა და მას ექნება ვალდებულება დაამტკიცოს, რომ ადამიანმა რაღაც დააშავა“

რომეო მიქაუტაძის კვალს სხვებსაც გაუყენებენ?

კორუფციის ბრალდებით დაკავებულ ეკონომიკის მინისტრის აწ უკვე ყოფილ მოადგილეს, რომეო მიქაუტაძეს (სხვათა შორის, ეკონომიკის მინისტრი ლევან დავითაშვილი ეკონომიკურ საბჭოში გადაიყვანეს, ეკონომიკის მინისტრი მარიამ ქვრივიშვილი გახდა), შესაძლოა, სხვებიც დაემატონ. „ოცნების“ ლიდერები ირწმუნებიან, რომ კორუფციას ებრძვიან. ამაში ბევრ კომენტატორს ეჭვი ეპარება. ისინი საუბრობენ „ქართულ ოცნებაში“ დიდი ფულის გამო ატეხილი დიდი დავიდარაბის შესახებ. ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, ხდება გამქრალი შავი ფულის ძიება. თემაზე კეთდება საჯარო განცხადებები და მინიშნებები.

წინა კვირაში ამ საკითხის გარშემო დამატებითი ინტრიგა გააჩინა სუს-ის ხელმძღვანელის, ანრი ოხანაშვილის ერთმა ფრაზამ, რომელიც მან წარმოთქვა პარლამენტში წლიური ანგარიშის წარდგენისას. ოხანაშვილმა აღნიშნა, რომ „შესაძლოა, კითხვებს აჩენდეს, თუ როგორ აღმოჩნდა ეკონომიკის მინისტრის პირველი ყოფილი მოადგილის, რომეო მიქაუტაძის საქმე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიღმა“.

ჩნდება განცდა, რომ მალე სუს-ის ყოფილ ხელმძღვანელს, გრიგოლ ლილუაშვილსაც მალე მიადგებიან.

– ოხანაშვილის განცხადება მისი წინამორბედის, გრიგოლ ლილუაშვილის წინააღმდეგ არის მიმართული. როდესაც ნებისმიერ დახურულ სივრცეში ვირთხებს ერთად ჩაკეტავ და დაამშევ, ეს ვირთხები ერთმანეთის ჭამაზე გადადიან. ეს შიდა კლანური დაპირისპირება პირდაპირ არის იმის ნიშანი, რომ ბიძინა ივანიშვილს დალაგებისა და კონსენსუსის პოვნის ბერკეტი აღარ აქვს და ერთი ჯგუფი მეორე ჯგუფის ჭამით არის დაკავებული. ამ პოლიტიკური კანიბალიზმით, საბოლოოდ, ბევრი რამის კრისტალიზაცია შეიძლება მოხდეს, – ასეთი აზრი გამოთქვა „ძლიერი საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა, თაზო დათუნაშვილმა.

დებატები პასე-ში საქართველოს შესახებ

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში (პასე-ში) 26 ივნისს გაიმართა დებატები სახელწოდებით „საქართველოში პოლიტიკური დევნის წინაშე მყოფი პირების დაუყოვნებლივ გათავისუფლების მოწოდება“.

დებატებისას გამოითქვა წინადადება რეპრესიებზე პასუხისმგებელი პირებისთვის აქტივების გაყინვისა და სხვა ზომების შესახებ.

– საქართველოში რეპრესიებზე პასუხისმგებელ პირებს აქტივები უნდა გავუყინოთ, დასავლური განათლებისა ინსტიტუტებისადმი წვდომა შევუზღუდოთ, საზღვარგარეთ არდადეგების ფუფუნება ჩამოვართვათ, – განაცხადა ბრიტანეთის წარმომადგენელმა, პერან მუნმა.

განცხადებები სხვადასხვა თემაზე:

პაატა ბურჭულაძე, მომღერალი, საზოგადო მოღვაწე:

– მოხდა ჩემთვის ძალიან მტკივნეული რამ: ჩამომართვეს რუსთაველის პრემია. უფრო სწორად, ბიძინა ივანიშვილმა დამიყადაღა რუსთაველის პრემია, რომელსაც მე 1991-1992 წლებიდან ვიღებდი.

ირაკლი მელაშვილი, ანალიტიკოსი:

– ავტორიტარული რეჟიმის ფორმირება მიდის ქვეყანაში. არ ვემხრობი იმ ძალიან ოპტიმისტურ აზრებს, რომ საქართველოში ეს შეუძლებელია. ეს შესაძლებელია ყველა ქვეყანაში მოხდეს, თუ საზოგადოება დაიძინებს, ოპოზიცია კი არაადეკვატური იქნება. საზოგადოებაში არ არის ნდობა, რომ ოპოზიციის მოსვლის შემთხვევაში ბევრი რამ უკეთესობისკენ შეიცვლება.

იაგო ხვიჩია, „გირჩი“:

– „ლელო“ იქნებ ციხიდან მაინც მიხვდეს და ტელევიზია, რომელიც პრივატიზებული აქვთ, ციხეში ყოფნის პერიოდში მაინც დაუთმონ სხვა ვინმესაც. იქნებ, ვინმემ მათი გათავისუფლების გზები მოიფიქროს. არჩევნებში მონაწილეობის მიუხედავად რომ ციხეში აღმოჩნდნენ, სულ მცირე, უნდა დაფიქრდნენ, რომ საკუთარი რესურსები განსხვავებული აზრისთვის ბლოკირებული არ ჰქონდეთ.

პაატა მანჯგალაძე, „სტრატეგია აღმაშენებელი“:

– თუ მანამდე არ გავერთიანდით, ოპოზიციას ციხეში მოუწევს გაერთიანება. უნდა გადავწიოთ ვიწრო პარტიული დღის წესრიგი. ის კრიზისი, რაც საქართველოს წინაშე დგას, დიდი ხანია, გასცდა პარტიულ ამბავს. ეს არის ქვეყნის გადარჩენის საკითხი.

თენგო თევზაძე, „კოალიცია ცვლილებისთვის“:

– ამერიკელი და ევროპელი პარტნიორები მზად არიან, მხარდაჭერა გამოუცხადონ ქართველ ხალხს და წინააღმდეგობის მოძრაობას, რომლის საფუძველი და ავანგარდი არიან ის პოლიტიკური ლიდერები, რომლებიც დღეს უსამართლო სასამართლოს პირობებში იხდიან სასჯელს, ვინაიდან არ თანამშრომლობენ რეჟიმთან.

„ხალხის ძალა“:

– ევროკავშირის ბიუროკრატიამ, კარგა ხანია, ჩამოიხსნა ნიღაბი და „დიფ სთეითის“ დავალებით უკვე ღიად ებრძვის საქართველოს სუვერენიტეტს.

ლევან სამუშია, „ძლიერი საქართველო“:

– ვიყავი პოლიტიკურ ტყვეებთან – ხაზარაძესთან და ჯაფარიძესთან – იმ ადამიანებთან, რომლებიც არიან ჩემი პარტიის ლიდერები, რომლებიც არიან შეურიგებელი მებრძოლები და იბრძვიან საქართველოს თავისუფლებისთვის. მათი გადაწყვეტილება იყო, არის და იქნება მტკიცე ბრძოლა ბოლომდე.

ეკონომიკა

„ტურიზმი აღარ არის ის სექტორი, რომელიც ითვლებოდა შემოსავლიანად – უმრავლესობა წავიდა სფეროდან“

– ტურიზმის ინდუსტრია აღარ არის ის სექტორი, რომელიც ითვლებოდა შემოსავლიან და პრესტიჟულ საქმედ – უმრავლესობა წავიდა სფეროდან, – ამის შესახებ „ბიზნესპრესნიუსს“ კომპანია „ტრეფიკ თრეველის“ დამფუძნებელმა, ცოტნე ჯაფარიძემ განუცხადა და სექტორში არსებული გამოწვევებზე ისაუბრა.

როგორც მანვე აღნიშნა, ქვეყანაში საგრძნობლად შეინიშნება მაღალმხარჯველი ტურისტების რაოდენობის სიმცირე, ამის პარალელურად გაზრდილია იმ ვიზიტორების წილი, რომლებიც ქვეყანაში დაბალი ხარჯვით გამოირჩევიან.

– სეზონის დასაწყისშივე ვამბობდი, რომ ტურიზმის სექტორისთვის იქნებოდა რთული წელი. ტურიზმის ინდუსტრია აღარ არის ის სექტორი, რომელიც ითვლებოდა შემოსავლიან და პრესტიჟულ საქმედ. უმრავლესობა წავიდა სფეროდან ან შეიცვალა პროფესია. ზაფხულის სეზონს თუ შევაჯამებთ, დარჩენილია ივლისი და აგვისტო. ახალი ჯავშნები აღარ შემოვა, იმიტომ, რომ ზაფხულის ჯავშნები აქამდე უნდა შემოსულიყო. არ მგონია, რომ შემოდგომაზე რაიმე სახით გამოსწორდება მდგომარეობა. გავიხედოთ გარეთ – რაც ხდება გარეთ, ის ხდება ტურიზმშიც... სასტუმროებიც, რესტორატორებიც, გესთჰაუსებიც – ზუსტად იგივე გეტყვით. გასულ პარასკევს კონფერენციას ვესწრებოდი და ზუსტად იგივე გზავნილები გაჟღერდა ყველას მხრიდან, – აღნიშნავს „ტრეფიკ თრეველის“ დამფუძნებელი.

მისი თქმით, ტურიზმის ინდუსტრიაში მიმდინარე გამოწვევები არის იმ პოლიტიკის გამოძახილი, რასაც სახელმწიფო ბოლო წლებში ახორციელებდა.

– ნებისმიერ ტურისტულ ადგილას რომ აბრძანდეთ, ყველგან საგრძნობლად შეინიშნება მაღალმხარჯველი ტურისტების რაოდენობის სიმცირე. ამ დროს ეს სეგმენტი ჩვენთვის ყოველთვის იყო სტრატეგიული. რომ არ ჩამოდის სტუმარი და შეიმჩნევა მხოლოდ დაბალმხარჯველი ტურისტები, ეს არის ყველაფერ იმის შედეგი, რა პოლიტიკასაც აწარმოებს სახელმწიფო ბოლო წლების განმავლობაში, – განაცხადა „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას ცოტნე ჯაფარიძემ.

ავტომობილების იმპორტი წლიურად 13%-ით გაძვირდა

საქართველოში ავტომობილების იმპორტი 2.6%-ით შემცირდა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით, 2025 წლის იანვარ-მაისში ქვეყანაში შემოვიდა 76.017 მსუბუქი ავტომობილი (ჯამური ღირებულება 1.290 მილიარდი დოლარის). ეს კი მაშინ, როცა 2024 წლის იმავე პერიოდში იმპორტირებული იყო 78.063 ავტომობილი, რომლის ჯამური ღირებულებაც 1.178 მილიარდ დოლარს შეადგენდა.

მონაცემები აჩვენებს, რომ საქართველოსი ერთი ავტომობილის იმპორტი 13%-ით გაუძვირდა. კერძოდ, შარშან ერთი ავტომობილის საშუალო საიმპორტო ფასი გადასახადების გარეშე 15.088 დოლარი ჯდებოდა, წელს კი ღირებულება 17.085 დოლარამდეა გაზრდილი (შენიშვნა: ფასები ბრენდისა და გამოშვების წლის მიხედვით შესაძლოა, ბევრი მეტი ან ნაკლები იყოს).

მიუხედავად 5 თვის ჭრილში წლიური საიმპორტო ფასის მატებისა, 2025 წლის თვეების მიხედვით ანალიზი აჩვენებს, რომ მიმდინარე წლის მაისში, წინა თვეებთან შედარებით, ავტომობილების იმპორტი გაიაფდა ან შედარებით იაფი ავტომობილების იმპორტი განხორციელდა.

ნიკოტინი და სილამაზე ერთმანეთთან შეუთავსებელია

ფრანგი ქალები – ქალური სილამაზის საიდუმლოებების შესახებ

როდესაც ფრანგ ქალებთან ქალური სილამაზის შესახებ იწყებთ საუბარს, გგონიათ, რომ ისინი გაგიმხელენ რაღაც ფანტასტიკურ საიდუმლოს. მაგრამ რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, როგორც წესი, ისინი ისეთ გაგებასთან ასოცირდებიან, როგორიც არის ელეგანტურობა, სტილი, შარმი, არცთუ ძალიან უყვართ ამ თემაზე საუბარი, უფრო ზუსტად, ისინი ამის შესახებ საკმაოდ თავისებურად საუბრობენ. სილამაზისა და თავის მოვლის შესახებ გარჩევის თემა იწყება და მთავრდება საუბრით ცხოვრების შესახებ, რომელიც, როგორც ფრანგ ქალებს მიაჩნიათ, გადასარევია თავისი ყველა გამოვლინებით. და სულაც არ არის მთავარი, რამდენი წლის ხართ, ცხოვრებისაგან სიამოვნების მიღება შესაძლებელია ყველა ასაკში. თუ თქვენ მოგეცათ შესაძლებლობა ცხოვრების ყველა სიამოვნების ხელოვნების შეგრძნების შესახებ, ამ შემთხვევაში სილამაზე არსად გაგექცევათ, მაგრამ რა თქმა უნდა, მის შესანარჩუნებლად აუცილებელია რეგულარულად თავის მოვლა და არა ვინმეს გულისთვის, არამედ, პირველ რიგში, საკუთარი თავისთვის.

ცნობილი ფრანგი მსახიობი **ფანი არდანი** კითხვაზე, რაში მდგომარეობს ფრანგი ქალების ლეგენდარული შარმის საიდუმლო, ხუმრობით პასუხობს: „უბრალოდ ჩვენ ვისწავლეთ, თუ როგორ არ უნდა დაებერდეთ. და იმის გარკვევა, თუ როგორ ვაღწევთ ამას – შეუძლებელია. საუკეთესო შემთხვევაში თქვენ მოისმენთ ჯადოსნური კრემის შესახებ ლეგენდას, რომელიც რომელიღაც დედოფლისთვის შექმნა სასახლის ალქიმიკოსმა. თუმცა, ამ რეცეპტს არავინ გაგიმხელთ“.

ფრანგი ქალები ისევე, როგორც სხვა დანარჩენი ქალები, თავის მოვლისა და სილამაზის საკითხებს ინდივიდუალურად უდგებიან. ყველას აქვს რა-

ღაც, რასაც უპირატესობას ანიჭებს. მაგრამ არსებობს გასაოცარი ერთსულოვანი აზრი, რომელსაც შეიძლება დავარქვათ თავის მოვლის ფრანგული მიდგომა. ნებისმიერი ფრანგი ქალი აუცილებლად ამბობს, რომ დიდ დროს არ ხარჯავს ამ თემის შესახებ და რადგან თავის მოვლა აუცილებელია, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ უფრო ადვილია ახალგაზრდობიდან ავირჩიოთ ცხოვრების ჯანსაღი წესი და ის ვიხმაროთ, რასაც ბუნება გვაძლევს. რაც შეეხება თანამედროვე კოსმეტიკურ საშუალებებსა და თავის მოვლის მეთოდებს, რა თქმა უნდა, პერიოდულად უნდა ჩავიხედოთ ქალთა ჟურნალებში, რომ ვიცოდეთ სიახლის შესახებ, უნდა გვყავდეს პირადი კოსმეტოლოგი და ყურადღებით შევისწავლოთ კრემების შემადგენლობა და მუდმივად არ უნდა ვიხმაროთ დეკორატიული კოსმეტიკა. ამის შემდეგ ისინი აუცილებლად შეგახსენებენ, რომ მუდმივი ახალგაზრდობის შესანარჩუნებლად უნდა დაივიწყოთ გარუჯვის შესახებ, ბევრი უნდა გეძინოთ, უნდა დალიოთ მინერალური წყლები და მივირთვათ ხილი, ბოსტნეული და ზღვის პროდუქტები დიდი რაოდენობით.

ფრანგი ქალები, ქალების ჟურნალების ფურცლებიდან, პერიოდულად გვიზიარებენ თავის შეხედულებებს სილამაზისა და თავის მოვლის შესახებ.

სოფი მარსო აღიარებს, რომ უყვარს დეკორატიული კოსმეტიკა და ხმარობს მას, მაგრამ არა დიდი რაოდენობით. ამასთანავე, რაც უფრო ემატება წლები, მით უფრო არ მოსწონს მაკიაჟი. მსახიობი ხმარობს ტონალური კრემის მცირე რაოდენობას. ისმევს მას არა მთელ სახეზე, არამედ მხოლოდ იმ ადგილებში, რასაც სჭირდება კორექტირება. ვარსკვლავი ამბობს:

– მე მაქვს მუქი კანი, რომელიც მოყვითალო ფერში გადადის. დაღლილობისგან ვხდები მწვანე და უბრალოდ მჭირდება ამის დამალვა. ლამაზი კანის საიდუმლო ბანალურია – საჭიროა დიდხანს ძილი და მზეზე ნაკლებად ყოფნა. მე, რა თქმა უნდა, დავდივარ კოსმეტიკურ სალონებში და მზა კრემებს ვყიდულობ, მაგრამ აგრეთვე მაქვს საყვარელი საშინაო საშუალებები. ვთვლი, რომ სხვადასხვა მცენარეული ზეთები საოცრებებს სჩადიან, მე კანი არ გადამიჭიმია. სახისათვის ძალიან მიყვარს ზეითუნის ზეთი. თავდაპირველად გამწმენდი ნიღაბი, შემდეგ ზეთოვანი კვება კრემის მაგივრად. მე არა ვარ სპორტული დარბაზების ფანატი, მაგრამ თავს ვაიძულებ იქ სიარულს. ვცდილობ, ბევრი არ ვჭამო. არ ვჭამ ხორცსა და შემწვარ კერძებს, პურს ვჭამ, მაგრამ ცოტას, ძალიან მიყვარს ბოსტნეული. ჩემს სისუსტეს წარმოადგენს შოკოლადი. არაჯანსაღ საკვებს საერთოდ არ ვეკარები. არასდროს ვჭამ გაქცეული. მე ყოველთვის ვსაუზმობ და ვვახშმობ, დღე არაფერს ვჭამ.

ჯულიეტ ბინოშთან ძალიან ძნელია ქალურ სილამაზეზე საუბარი. მსახიობი ამბობს, რომ ძალიან უყვარს ლამაზი ნივთები, სიამოვნებით ყიდულობს რაღაც კოსმეტიკურ საშუალებებს, დადის სილამაზის სალონებში, მაგრამ ეს მეორეხარისხოვანია. მთავარია, რომ ყოველთვის მიილტვის სიამოვნებებისაკენ და იღებს კიდეც მათ ცხოვრებისაგან.

– ჭამა, მოგზაურობა, სეირნობა, აგრეთვე შოკოლადის ფილა – ყველაფრით უნდა ისიამოვნო, რადგან სიამოვნება საოცარი რამ არის. ქალური სილამაზე მოდის უცებ, მის შესანარჩუნებლად უნდა იცოდეთ როგორ გაიხაროთ! – ამბობს ჯულიეტ ბინოში, – დანარჩენი ყველაფერი არის ძალიან უბრალო, ძილი, სუფთა ჰაერი, წყალი, რომელიც შეგიძლიათ დალიოთ და გადააქციოთ საუკეთესო კოსმეტიკურ საშუალებად – ყინულად. აი, ეს გახლავთ მთელი საიდუმლო.

ოდრი ტატუ აღიარებს, რომ არ არის კოსმეტიკური საშუალებების თაყვანისმცემელი, განსაკუთრებით ეს ეხება დეკორატიულ კოსმეტიკას. მაკიაჟი ეს არის წამება, მაგრამ ის აუცილებელია ჩემს პროფესიაში. ჩვეულებრივ ცხოვრებაში მაკიაჟს მინიმუმამდე ვამცირებ. ვხმარობ ჩვეულებრივ სახის კრემს, რომელიც მოიძებნება ჩემს აბაზანაში. სახისა და კანის ცხიმიანი კრემების ატანა არა მაქვს. ყველაზე მეტად მე მიყვარს მოვიცილო ყველანაირი კოსმეტიკური საშუალებები სახიდან, წავისვა რაიმე ნატურალური ნიღაბი და წამოვწვე რამდენიმე ხნით. დამზადებულ კრემებს ხანდახან კი ვყიდულობ, მაგრამ მე ისინი ძალიან ცოტა მაქვს. საერთოდ, სიმართლე რომ ვთქვა, დიდ ძალისხმევას არ ვდებ იმაში, რომ კარგად გამოვიყურებოდე. კანის მოვლა უნდა ვაცალოთ ბუნებას. მიყვარს ყველაფერი ნატურალური, მიყვარს მინერალური წყალი, ყინულის კუბიკები, სუფთა ჰაერი და კარგი ძილი. მე ვთვლი, რომ რაც უფრო მეტი დასვენების საშუალებას ვაძლევთ სახის კანს, მით უფრო დიდხანს შევინარჩუნებთ მის ახალგაზრდობას.

კატრინ დენევისიხარულით აცხადებს, რომ მოვიდა დრო, როდესაც ბუნებრიობა უფრო დაფასდა, ვიდრე ხელოვნურობა. ცნობილი მსახიობი ამბობს:

– რაც უფრო ასაკოვანი ხდები, მით უფრო აუცილებელი ხდება კანის მოვლა და ამ დროს ნაკლებად უნდა გამოვიყენოთ კოსმეტიკა. რაც უფრო ნაკლებად გაქვთ შეღებილი სახე, მით უფრო ნაკლებად აისახება მასზე ასაკი. სულ ფორმაში რომ იყოს, ეს მოითხოვს დიდ ძალისხმევას. ყველაზე მთავარი, რაც შეიძლება გააკეთოთ თქვენი კანისთვის, ეს არის – არ მოწიოთ და სახე არ მიუშვიროთ მზეს. ჩემი სახე მზისდამცავი საშუალებებით არის ყოველთვის დაცული, რომელიც გარუჯვის იმიტაციას ქმნის და ამას პლუს მცირეოდენი პუდრა, რომელიც კანს უფრო დაბურულს ხდის. საერთოდ, მე ვიღებები ზომიერად და ძალიან სწრაფად. წამწამებზე ვისვამ ტუშს, რაც ხაზს უსვამს თვალების გამომხატველობას. აი, რაც შეეხება ტუჩის საცხს, აქ უპირატესობას ვანიჭებ დამატენიანებელ პომადებს, რაც უფრო ბუნებრივად გამოიყურება. ქუთუთოებზე ჩრდილის წასმა არ მიყვარს. აუცილებლად ვინტერესდები კოსმეტიკური საშუალებების შემადგენლობით, ვუყურებ ესა თუ ის პროდუქტი რა რაოდენობითაა მათში განთავსებული. კიდევ, ჩემი აზრით, მნიშვნელოვანია, თუ ქალს ხელები და ფეხები მოწესრიგებული აქვს, თუნდაც თმა არ ჰქონდეს დავარცხნილი. მართალია, თმები ამ დროს აუცილებლად სუფთა უნდა გქონდეთ. ფორმის შესანარჩუნებლად, კვირაში ერთხელ ვვარჯიშობ. მთავარია, გაიგოთ, რომ კანის მოვლა საჭიროა არა გარედან, არამედ „შიგნიდან“.

მე მომხრე ვარ ნატუროპათიისა და ორგანიზმის გაჯანსაღებისა ვიტამინებისა და მიკროელემენტების საშუალებით. რეგულარულად დავდივარ საუნაში. ის საოცრად კარგად ასუფთავებს კანს. აუცილებელია, 8-საათიანი ძილი. ძილი არის მთავარი სილამაზის შენარჩუნებაში. დიეტაზე შვებულების შემდეგ ვჯდები ხოლმე. მიუხედავად იმისა, რომ ტკბილი ძალიან მიყვარს, ადვილად ვთმობ შაქარს. წყალს ბევრს ვსვამ, მაგრამ არა ჭამის დროს. აუცილებლად ვაწყობ განტვირთვის დღეებს. ამ დროს არაფერს ვჭამ, ვსვამ მხოლოდ ბოსტნეულის ნახარშს ან ნატურალურ წვენებს. ხორცს ვჭამ ცოტას, არასდროს მივირთმევ მას ნახშირწყლებთან ერთად. საერთოდ, ამ ყველაფერზე საუბარი ძალიან მღლის. ცხოვრება ამის გარეშეც ძალიან საინტერესოა“.

მარიამ რევიშვილი – წარმატებული შეფი, რომელიც კოშერ სამზარეულოს ლიდერია

მარიამ რევიშვილი ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და მოთხოვნადი შეფ-პუნქტია კოშერ სამზარეულოში, რომელიც უკვე 5 წელია წარმატების გზას არ ღალატობს.

მარიამი დაიბადა საქართველოში, სწორედ იქ, სადაც კულინარიისადმი სიყვარული ბავშვობიდან გაღვივდა. სწორედ ამ სიყვარულმა მიიყვანა ის ახალ აკადემიაში, რომელიც წარმატებით დაამთავრა და პროფესიონალი შეფის კარიერა დაიწყო.

ბოლო 5 წლის განმავლობაში მარიამმა განსაკუთრებული აღიარება მოიპოვა ებრაულ კულინარიაში. ის ითვლება ერთ-ერთ ყველაზე მოთხოვნად და გამორჩეულ პროფესიონალად კოშერ სამზარეულოში. მისი უნარები და ცოდნა ამ სფეროში განსაკუთრებულად ფასდება, რადგან მას დეტალურად ესმის კოშერის ყველა წესი და სტანდარტი.

„კოშერი ჩემთვის მხოლოდ წესები არაა – ეს კულტურა, სიწმინდე და ცხოვრების სტილია,“ – ამბობს მარიამი.

მარიამს განსაკუთრებულად კარგად ესმის და ფლობს მედიტარიანულ სამზარეულოს, სწორედ კოშერის ჭრილში. მისი კერძები გამოირჩევა სისუფთავით, დახვეწილი გემოვნებითა და მაღალი სტანდარტებით, რაც მას განსაკუთრებულად მიმზიდველს ხდის კულინარიული სფეროსთვის.

„კულინარია ჩემთვის თავისუფლების ფორმაა. კერძით შეგიძლია ადამიანებს ემოცია და მოგონებები აჩუქო,“ – აცხადებს მარიამი.

მისი მიზანი ყოველთვის იყო არა მხოლოდ გემრიელი კერძების შექმნა, არამედ კულტურისა და ტრადიციების გადაცემა თეფშზე, რაც დღეს მას კოშერ სამზარეულოს ერთ-ერთ გამორჩეულ წარმომადგენლად აქცევს.

ყალეიდოსკოპი

ქალმა უზარმაზარი თევზი დაიჭირა და პრიზის გარეშე დარჩა

ამერიკის ალიასკას შტატში გამართული შეჯიბრის დროს ქალმა უზარმაზარი თევზი დაიჭირა და რაღაც სასაცილო მიზეზის გამო პრიზის გარეშე დარჩა: ის ფიქრობდა, რომ გამარჯვების შანსი არ ჰქონდა და შეჯიბრში მონაწილეობის ბილეთი არ შეიძინა.

ლორვე ილინვორტმა მოახერხა წყლიდან ამოეყვანა თავისზე დიდი ზომის ჰალიბუტი.

– ვერ ვხვდებოდით, თუ რამდენად დიდი იყო, სანამ ნავამდე არ მოვაცურეთ და დავინახეთ, თუ როგორ ამოდიოდა წყლის ზედაპირზე, – ამბობს ქალის მეუღლე, – მისი მხოლოდ ფართოდ დაღებული ხახა მოჩანდა.

თევზის სიგრძემ 188 სანტიმეტრი, ხოლო წონამ 71,6 კილოგრამი შეადგინა. ალიასკაში გამართულ შეჯიბრზე მოზრდილი თევზის დამჭერი პრიზის სახით ათას დოლარს იღებს, ხოლო მთავარი პრიზი 10.000 დოლარს შეადგენს. ილინვორტმა კი, იმის გამო, რომ ბილეთი არ ჰქონდა, ვერაფერი მიიღო. საბოლოოდ კი პრიზი ერგო სხვა მეთევზეს, რომლის მიერ დაჭერილი ჰალიბუტის წონამ 63,5 კილოგრამი შეადგინა.

ქალმა სამსახურის ტუალეტში ფარული კამერა აღმოაჩინა

ამერიკის ალაბამას შტატში საწყობის თანამშრომელმა ქალმა ამხილა გარყვნილი უიღბლო, რომელმაც ტუალეტში ფარული კამერა დააყენა.

აღნიშნული შემთხვევა ქალაქ გლაფ-შორსში ჯერ კიდევ აპრილში მოხდა, თუმცა მხოლოდ ახლახანს გახდა ცნობილი. ქალი, რომელიც რესტორნების ქსელის საწყობში მუშაობს, ტუალეტში შევიდა, როდესაც მისი ყურადღება პირსაბანის ნიჟარის ქვეშ მოთავსებულმა საეჭვო საგანმა მიიპყრო.

ქალმა აღმოაჩინა, რომ ის ჩართული ვიდეოკამერა იყო. მოწყობილობამ მოასწრო იმის გადაღება თუ როგორ შევიდა ქალი ტუალეტში. აღსანიშნავია, რომ ფარული კამერის დამყენებელი ბრენდან სმიტიც, რომელიც ასევე საწყობის თანამშრომელია, თავადაც მოხვდა კამერის ობიექტივში. ჩანაწერში ჩანს, თუ როგორ ასწორებს მამაკაცი ფარულ კამერას და მას უნიტაზისკენ მიმართავს.

ვიდეოკამერის მეხსიერების ბარათზე სხვა ჩანაწერები არ ყოფილა. ქალმა ფარული კამერა კომპანიის ხელმძღვანელებს ჩააბარა. ამის შედეგად სმიტი სამსახურიდან დაითხოვეს. ამ დროისთვის მამაკაცი სასამართლოს მოლოდინშია

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

შეგიძლიათ, „ახალი თაობის“ ელექტრონული ვერსია გამოიწეროთ.
ტელ.: 577 46 06 59

2025, 30 ივნისი, №123

აშშ-მ და ჩინეთმა სავაჭრო შეთანხმება გააფორმეს

აშშ-მ და ჩინეთმა ერთმანეთთან სავაჭრო შეთანხმება გააფორმეს. ამის შესახებ პრეზიდენტმა ტრამპმა განაცხადა:

– აღნიშნული შეთანხმება გზას გაგვიხსნის როგორც ჩინეთში, ასევე მთელ აღმოსავლეთში, – თქვა ტრამპმა.

აშშ-ის პრეზიდენტმა ირანის სულიერ ლიდერს მიმართა

ირანის სულიერმა ლიდერმა, აიათოლა ხამანეიმ ერს მიმართა და განაცხადა, რომ ირანმა თთქოს აშშ-სთან ომში გაიმარჯვა. ტრამპი ამას უმალ გამოეხმაურა.

– თქვენ ბირთვული იარაღის ფლობა მოისურვეთ და ამიტომაც გაილახეთ. ისრაელიც გაილახა. ამიტომ, როგორც კაცი. რომელსაც ირანში პატივს სცემენ, სიმართლეს უნდა ლაპარაკობდეთ! – თქვა ტრამპმა.

აშშ-ის პრეზიდენტი შეჰპირდა ხამანეის, რომ თუ ირანი ბირთვული იარაღის ფლობას კვლავ დააპირებს, ამ ქვეყანას ისევ დავბომბავთო.

– ბირთვული იარაღის გავრცელება დაუშვებელია! ამიტომაც დაუშვებელია, რომ ირანს ბირთვული იარაღი ჰქონდეს! – ამბობს ტრამპი.

ჰამასის ერთ-ერთი დამაარსებელი მოკლეს

ღაზას სექტორში ტერორისტული ორგანიზაცია „ჰამასის“ ერთ-ერთი დამაარსებელი, ჰაკამ ალ-ისა მოკლეს, – ამის თაობაზე რადიო „თავისუფლება“ იტყობინება.

უნგრეთმა უკრაინის ევროკავშირში შესვლასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები დაბლოკა

უნგრეთმა უკრაინის ევროკავშირში შესვლასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები დაბლოკა. ამის თაობაზე იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

– უკრაინაში დევნიან ეკლესიას, ჩაგრავენ ეროვნულ უმცირესობებს. ასეთი ქვეყანა არ შეიძლება ევროკავშირის წევრი იყოს! – განაცხადა უნგრეთის პრემიერმა ორბანმა.

ვინ იდგა ტრამპზე თავდასხმის უკან?

როგორც ცნობილია, წინასაარჩევნო კომპანიის დროს ჯერ კიდევ პრეზიდენტობის კანდიდატ ტრამპზე თავდასხმა განხორციელდა. სერ დონალდი გადარჩა. გაზეთ „ვაშიგტონ პოსტის“ აზრით, თავდასხმა ირანის სპეცსამსახურებმა მოაწყვეს.

– ტრამპის გარდა, მაიკ პომპეოს ლიკვიდაციაც იგეგმებოდა! – წერს „ვაშინგტონ პოსტი“.

აზერბაიჯანმა რუსეთს პროტესტი განუცხადა

ამა წლის 27 ივნისს ეკატერინბურგში აზერბაიჯანელთა მასობრივი დაკავებები მოხდა. ამ დროს ორი აზერბაიჯანელი მოკლეს, 4 დაშავდა, 9 ადამიანი კი დაკავებულია,

– ჩვენმა პოლიციამ დაიკავა კავკასიური წარმოშობის პირები, რომლებიც ნარკოტიკებს ყიდდნენ და გარყვნილებას ნერგავდნენ, – განაცხადა ოდიოზურმა რუსმა ჟურნალისტმა სოლოვიოვმა.

მომხდარის განო აზერბაიჯანულმა მხარემ რუსეთს პროტესტი განუცხადა. რუსეთის ელჩი აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტროში დაიბარეს და საპროტესტო ნოტა გადასცეს.

რუსეთი იწვის!

რუსეთი უკრაინაში ჩიხში შევიდა. ამან პუტინი გააცოფა. რუსეთის დიქტატორმა რტრ-ის ეთერიდან განაცხადა:

– დადგა დრო, რომ უკრაინას თავი წავაცალოთ!

სიტყვას საქმეც მოჰყვა. რუსებმა დაბომბეს კიევი, ხარკოვი, ოდესა, ხერსონი, ნიკოლაევი, დნეპრი, აგრეთვე სამარი (დნეპროპეტროვსკის ოლქი). დაიბომვა ჩერკასი, ჟიტომირი, კიევი, ტერნოპოლი.

ყოველ ქმედებას უკუქმედება მოსდევს. უკრაინელთა პასუხმაც არ დაახანა. მათ დროებით ოკუპირებულ უკრაინულ ტერიტორიას დაარტყეს. დაიბომბა მარიუპოლი, დონეცკი, ლუგანსკი. განხორციელდა დარტყმა ყირიმის ხიდზე, სევასტოპოლზე, სიმფეროპოლზე. უკრაინელებმა რუსეთის ტერიტორიასაც დაარტყეს. დრონებით დაიბომბა კურსკი, ბრიანსკი, ვორონეჟი, დონის როსტოვის ოლქი, ვოლგოგრადის ოლქი.

– ვოლგოგრადის მახლობლად განადგურებულია სამხედრო აეროდრომი, მოსპობილია ოთხი რუსული თვითმფრინავი! – იტყობინება ტელეკომპანია მე-5 არხი.

ამრიგად, რუსეთი იწვის, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

უკრაინის გენშტაბის ცნობით, ოკუპანტების რიგებში შემდეგი დანაკარგებია: ტანკები – 10.970; არტილერია – 29.665; ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებები – 1.189; თვითმფრინავები – 420; ვერტმფრენები – 337; უპილოტო საფრენი საშუალებები – 42.477; ფრთოსანი რაკეტები – 3.394; განადგურებულია – 1.017.720 ოკუპანტი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

დააპატიმრეს მამაკაცი, რომელიც ცოლს სხვის სახლში ემალებოდა

ამერიკის ფლორიდის შტატში პოლიციამ დააკავა დამნაშავე, რომელმაც სხვის სახლში შეაღწია, აბაზანა წყლით აავსო და საკუთარი თავისთვის სადილს იმზადებდა.

აღნიშნული შემთხვევა ქალაქ დევენპორტში მოხდა. დაკავების შემდეგ მამაკაცმა სახელად ჯომ პოლიციას განუმარტა, რომ სხვის სახლში შესვლა იმიტომ გადაწყვიტა, რომ ჩხუბის შემდეგ ცოლს დამალვოდა. მან იცოდა, რომ ბინის პატრონები შვებულებაში იყვნენ და მათი არყოფნით ისარგებლა. ის მეზობლის სიფხიზლის წყალობით დაიჭირეს, რომელმაც სახლში საეჭვო მოძრაობა შენიშნა და სამართალდამცავებს შეატყობინა.

– ჯომ აღიარა, რომ სახლის მფლობელებთან არანაირი ურთიერთობა არ აქვს და უბრალოდ მათი არყოფნით ისარგებლა, – განაცხადეს ადგილობრივ პოლიციაში.

დაკავების დროისთვის მას უკვე მომზადებული ჰქონდა თავისთვის სადილი და ბანაობას აპირებდა.

– ეს ყველაზე უჩვეულო შემთხვევაა ჩემს პრაქტიკაში, – აღიარა შერიფის ოფისის წარმომადგენელმა, – ჩვეულებრივ მძარცველები დანაშაულის ადგილიდან სწრაფად წასვლას ცდილობენ, ეს კი ისე იქცეოდა, თითქოს საკუთარ სახლში ყოფილიყო.

ჯოს სხვის სახლში უკანონოდ შეღწევის ბრალდება წაუყენეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციების გან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

სპორტი

მონაკოს ტერ შტეგენის შეძენა სურს

მონაკოს ბარსელონას გერმანელი მეკარის მარკ ანდრე ტერ შტეგენის შეძენა სურს. ფრანგულ მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მონაკო ახალ მეკარეს ეძებს და მათთვის მარკ ანდრე ტერ შტეგენი მისაღები ვარიანტია და ისინი ტერ შტეგენს პირდებიან, რომ ის პირველი მეკარე იქნება.

ტერ შთეგენის ბარსელონადან წასვლა რეალურია, რადგან ბარსელონამ ჟოან გარსია იყიდა, რომელიც ესპანეთში ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ მეკარედ ითვლება. ბარსელონაში გერმანელ მეკარეს პირდაპირ უთხრეს, რომ ის მომავალ სეზონში პირველი მეკარე აღარ იქნება.

მარკ ანდრე ტერ შტეგენი ბარსელონაში 2014 წელს გადავიდა. მას შემდეგ მან გუნდში 10 სეზონზე მეტი გაატარა და ამ ხნის მანძილზე უამრავი ტურნირი მოიგო. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ტერ შტეგენს, ყველაფრის მიუხედავად, არ სურს ბარსელონას დატოვება.

ხაბი ალონსო: „იუვენტუსთან რთული შეხვედრა გველის“

მადრიდის რეალის მთავარმა მწვრთნელმა ხაბი ალონსომ იუვენტუსთან დაპირისპირებაზე ისაუბრა და თქვა, რომ მის გუნდს წინ რთული თამაში ელის, მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად იუვენტუსი საუკეთესო ფორმაში არ არის: „იუვენტუსთან დაპირისპირებები ყოველთვის განსაკუთრებულია და ჩვენ ყურადღებით უნდა ვიყოთ, რადგან შესაძლოა, შეცდომები ძვირად დაგვიჯდეს“.

იუვენტუსისა და რეალის დაპირისპირება სამშაბათს, თბილისის დროით 23.00 საათზე დაიწყება. რეალი ამ შეხვედრაში უპირობო ფავორიტად ითვლება, რადგან იუვენტუსმა ბოლო თამაში სიტისთან 2:5 წააგო. გარდა ამისა, იუვენტუსი ბოლო წლებია მუდმივად აგებს რეალთან.

როდრიგო შესაძლოა, არსენალში ვიხილოთ

ესპანური გამოცემების ცნობით, ლონდონის არსენალი საქმეზე გადავიდა. საოცნებო კონტრაქტი და მთავარი როლი გუნდში. მიკელ არტეტა როდრიგო გოეშში მარცხენა ვინგერს ხედავს და მზად არის, ბრაზილიელი ფეხბურთელი საკუთარ პოზიციაზე დააბრუნოს.

თუ როდრიგო მეთოფეებს შეუთანხმდება, ის მარცხენა ფლანგიდან შეუტევს და 5 წლის განმავლობაში დაუკავშირებს თავს ლონდონურ გრანდს.

ასევე აღსანიშნავია, რომ არსენალი მზად არის, 5-წლიანი კონტრაქტი 60-მილიონიანი ჯამური ღირებულებით შეაფასოს, ეს კი წლიურად 12 მილიონიან ხელფასს ნიშნავს.

ბრიტანული გამოცემების ცნობით, არსენალს მკაფიოდ აქვს გადაწყვეტილი როდრიგოს დამატება, დანარჩენი კი სამეფო კლუბზე იქნება დამოკიდებული.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

მყვინთავმა ტბის ფსკერზე ბრილიანტის თვლიანი ბეჭედი იპოვა

აშშ-ში პროფესიონალმა მყვინთავმა ტბის ფსკერზე ბრილიანტის თვლიანი ოქროს ბეჭედს მიაგნო.

რაიან პრიგმორმა 1910 წლის ბრილიანტის თვლიანი ოქროს ბეჭედი იპოვა, რომელიც ჯეკოლინ პეიჯმა ტეხასის შტატში ტბა პოსუმ-კინგდომზე შვილის ბეისბოლის გუნდთან ერთად გასეირნების დროს დაკარგა.

– უკვე შერიგებული ვიყავი იმ აზრს, რომ ბეჭედი სამუდამოდ იყო დაკარგული, – დაწერა პეიჯმა სოციალურ ქსელში საკუთარ გვერდზე. პირველ დღეს ბეჭდის ძებნას ხელს ძლიერი ტალღები უშლიდა, მაგრამ მეორე დღეს მყვინთავმა ფსკერზე ძვირფასი სამკაული შენიშნა.

ანტიკვარული ბეჭედი, რომლის ფასი გასაიდუმლოებულია, უდიდესი სენტიმენტალური ღირებულებისაა მისი მფლობელისთვის. აღსანიშნავია, რომ მყვინთავმა უსასყიდლოდ იმუშავა და განაცხადა, რომ იმითაც გახარებულია, რომ ოჯახური რელიქვიის დაბრუნება მოახერხა.

კალეიდოსკოპი

სიცოცხლისთვის საშიში ჭიანჭველები შტატებს შეესივნენ

აზიური შხამიანი მწერები აშშ-ის დაპყრობას აგრძელებენ და უკვე ქვეყნის ჩრდილოეთამდე მიაღწიეს.

შხამიანი ჭიანჭველები უკვე გამოჩნდნენ მასაჩუსეტსის, როდ-აილენდისა და კონეკტიკუტის შტატებში, რომლებიც ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობენ. ადრე მათი გავრცელების თაობაზე მხოლოდ სამხრეთის შტატების მაცხოვრებლებს აფრთხილებდნენ. აშშ-ის სატყეო სამსახურის მონაცემებით, ასეთი ჭიანჭველის კბენა ადამიანების ორი პროცენტისთვის მეტად სახიფათოა, ვინაიდან შეუძლია მათში ანაფილაქსური შოკი გამოიწვიოს. ასევე ვრცელდება ინფორმაცია, რომ შხამიანი ჭიანჭველები უკვე ამერიკის 20 შტატში ბინადრობენ.

აზიური შხამიანი ჭიანჭველები აშშ-ში 1932 წელს გამოჩნდნენ, თუმცა პრობლემად მხოლოდ 2021 წლიდან იქცნენ. ისინი მასობრივად ჭამენ მცენარეებს და ანადგურებენ ადგილობრივ ჭიანჭველებს.

რაფინია: „ფეხბურთელებს არავინ ჰკითხა, სურთ თუ არა მათ მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზე თამაში“

ბარსელონას ფეხბურთელი რაფინია მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის მიმართ კრიტიკულადაა განწყობილი.

როგორც ბრაზილიელმა შემტევმა აღნიშნა, ყველა ფეხბურთელს აქვს შვებულების უფლება:

– როგორც ევროპული კლუბის ფეხბურთელი, ვამბობ, რომ ყველა შვებულებაში უნდა იყოს. ჩვენთვის რთულია დასვენებაზე უარის თქმა, ამის უფლება გვაქვს. ყველა იმსახურებს მინიმუმ სამი კვირის ან ერთი თვის შვებულებას. ბევრ მათგანს, ვინც მსოფლიოს ჩემპიონატზეა, ამის უფლება არ ექნება.

არავინ ჰკითხა ფეხბურთელებს, ეთანხმებოდნენ თუ არა ამ თარიღებში ტურნირის ჩატარებას. მე შვებულებაში ვარ და სხვებიც უნდა იყვნენ. მაგალითად, ჩემმა თანამემამულეებმა პსჟ-ში ჩემპიონთა ლიგა მოიგეს და ტიტულის ზეიმიც ვერ მოასწრეს. ისინი ჯერ ეროვნულ ნაკრებში წამოვიდნენ და შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატზე სათამაშოდ წავიდნენ, – თქვა რაფინიამ.

მბაპემ პსჟ-ს წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა

ავტორიტეტული ფრანგული გამოცემა L'Equipe-ის ინფორმაციით, რეალის თავდამსხმელმა კილიან მბაპემ ყოფილი გუნდის პსჟ-ის წინააღმდეგ სასამართლოში მორიგი სარჩელი შეიტანა.

ფეხბურთელი თავის ყოფილ კლუბს ფსიქოლოგიურ ზეწოლასა და 2023 წელს ახალი კონტრაქტის გაფორმების იძულების მცდელობაში ადანაშაულებს, როდესაც ის პირველ გუნდთან ერთად ვარჯიშიდან მოკვეთეს.

ასევე აღნიშნულია, რომ მბაპემ სარჩელი მიმდინარე წლის მაისში შეიტანა, ხოლო სასამართლო განხილვა სამშაბათს, 24 ივნისს დაიწყო.

ინფორმაციისთვის, მბაპესა და პსჟ-ის შორის სასამართლო დავა ახალი ამბავი არაა. კილიანმა რეალში გადასვლის მერე ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო ყოფილ გუნდს უჩივლა და პარიზელებს 55 მილიონი ევროს გადახდაც დაეკისრათ, თუმცა შემდეგ პსჟ-მა სასამართლოს ფეხბურთელისთვის 55 მილიონი ევროს გადახდის ვალდებულების გაუქმება მოსთხოვა და ამავდროულად, თავადაც 98 მილიონი ევროს ოდენობის საწინააღმდეგო სარჩელი წარადგინა.

პოლ პოგბა მონაკოს ფეხბურთელი გახდა

იუვენტუსის ყოფილი ნახევარმცველი პოლ პოგბა „მონაკოს“ ფეხბურთელი გახდა, – გვამცნობს მონაკოს პრესსამსახური. 32 წლის ფრანგმა ორსეზონიანი კონტრაქტი გააფორმა – 2027 წლის 30 ივნისამდე.

პოგბა მოედანზე 2023 წლის სექტემბრიდან არ გასულა. 2024 წლის თებერვალში ფეხბურთელს ანტიდოპინგური წესების დარღვევის გამო 4-წლიანი დისკვალიფიკაცია მისცეს. მის ორგანიზმში ტესტოსტერონის მომატებული დონე აღმოჩნდა. ოქტომბერში ცნობილი გახდა, რომ ფრანგის დისკვალიფიკაციის ვადა 18 თვემდე შემცირდა, რის გამოც აკრძალვა 2025 წლის მარტში ამოიწურა.

პოგბას ბოლო კლუბი იუვენტუსი გახდათ, რომელმაც მასთან კონტრაქტი 2024 წლის დეკემბერში შეწყვიტა. მანამდე ის ასევე თამაშობდა მანჩესტერ იუნაიტედსა და ლე ჰავრში.

გიორგი ჩაკვეტაძე შესაძლოა, ვალენსიას ფეხბურთელი გახდეს

ვალენსიას უოტფორდიდან საქართველოს ნაკრების ნახევარმცველის გიორგი ჩაკვეტაძის დამატება სურს. ამის შესახებ ინფორმაციას ესპანური მედია ავრცელებს.

ვალენსიელთა გეგმაა ჩაკვეტაძის იჯარითა და გამოსყიდვის ვარიანტით დამატება, რომლის საფასური 4-5 მილიონი ევრო იქნება. უოტფორდის პოზიცია უცნობია, რადგან ინგლისელები ქართველს სავარაუდოდ, გაცილებით ძვირად შეაფასებენ.

აღსანიშნავია, რომ ჩაკვეს მიმართ ინტერესს ბარნლი, სანდერლენდი და ბირმინგემიც იჩენენ, რომლებსაც გაცილებით უკეთესი ფინანსური რესურსი აქვთ, ვიდრე ვალენსიას.

გიორგი ჩაკვეტაძე უოტფორდში 2023 წლიდან თამაშობს და 74 მატჩში 3 გოლი აქვს გატანილი, ხოლო 10-ჯერ საგოლე პასი მიითვალა. მანამდე ის სლოვანის, ჰამბურგის, გენტისა და დინამო თბილისის ღირსებას იცავდა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიაში“
„...ნუცა თოდუამ შორს გაითქვა სახელი, როგორც მკურნალმა“

დღეს თოდუების გვარის ერთ-ერთი წარმომადგენელი ლამარა თოდუა, რომელიც, ღვთის შეწევნით, წინაპრებისგან დაგროვილი მცენარეული სამკურნალო საშუალებებით მკურნალობს ხალხს და ეხმარება ჯანმრთელობის აღდგენაში.

სახის კანის გაწმენდა ხდება სხვადასხვა სამკურნალო ნიღბებით, რაც გაღიზიანებას არ იწვევს, მშვიდდება და სუფთავდება. ჩემი მკვებავი და დამცავი კრემი, ლოსიონი და ნიღბები მცენარეულია.

ძალიან ეფექტურია ნებისმიერი კანისთვის, კურნავს აკნეს, გამონაყარს, ნაოჭებს, ლაქებს, სებორიას, ეგზემას, ქავილებს, ზოგოერთი ტიპის დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს. მოხსნის მეჭეჭებს. ჰაიმორიტი 10 დღეში იკურნება. მოგშორდებათ ტილები ერთი პროცედურით, აჩერებს თმის ცვენას, ქერტლს.

ახალ ნამშობიარებ დედებს, რომლებსაც უმაგრდებათ მკერდი, ჩემი მალამოთი შვებას გრძნობენ, ანთება ქრება, რძე იწყებს გამოსვლას, სადინარი იხსნება და არანაირი მასაჟი არ სჭირდება.

სწრაფად შეხორცებებს, დამწვრობებს ნებისმერი ხარისხისას, ნაწოლებს, თუნდაც ჩირქოვანი, თმის ჩაბრუნება სრულად იკურნება, ასევე ვარჩენ დისბაქტერიოზს, ქუასილს, პროსტატიტს, გამაგრებულ ნანემსრებს, კუჭის წყლულს, გამოვდევნი ჭიებს ნაწლავებიდან, დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს, სოკოს ქავილით, სწრაფად ვახორცებ კბილის ჭრილობებს, სტომატიტს, ჯიბლიბოს, ცრემლიანობას და ყურის ანთებას.

მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52. ლამარა თოდუა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 — 12-დან 17 საათამდე

ილია თოფურიამ პირველ რაუნდში მორიგი ნოკაუტით

წარმოუდგენელი სიგიჟე UFC 317-ის მთავარ ბრძოლაში. ილია თოფურიამ ჩარლზ ოლივეირა დაანოკაუტა და ორი დივიზიონის ჩემპიონია!

ლას ვეგასში, T Mobile Arena-ში გამართულ დაპირისპირებაში ElMatador-მა დაუჯერებლად იმოქმედა – მეტოქე პირველ რაუნდში გაანადგურა და 65-ის შემდეგ, ახლა უკვე საჩემპიონო ქამარს 70 კილოგრამშიც დაეუფლა.

ოლივეირამ ბრძოლის დაწყებისას თეიქდაუნი სცადა, თუმცა, თოფურიამ მყისიერი ხასიათი და ტაქტიკა გამოიყენა – დარტყმებით სწრაფად დააბნია მოწინააღმდეგე, რის შემდეგაც მსაჯმა ბრძოლა შეწყვიტა.

ილია თოფურია გახდა UFC-ის მეათე ჩემპიონი, რომელმაც ჩემპიონობა ორ დივიზიონში მოიპოვა. აქამდე სხვადასხვა დივიზიონის ქამარი რენდი კუტურმა, ბი ჯეი პენმა, კონორ მაკგრეგორმა, ჯორჯ სენ-პიერმა, დანიელ კორმიემ, ამანდა ნუნეშმა, ჰენრი სეხუდომ, ჯონ ჯონსმა და ალექს პერეირამ მოიპოვეს.

ილია თოფურია MMA-ში ჩატარებული 17 ბრძოლის შემდეგ კვლავ დაუმარცხებელია, ხოლო უშუალოდ ორგანიზაციაUFC-ში ეს მისთვის ზედიზედ მეცხრე გამარჯვება იყო, მან შვიდი შეხვედრა ვადაზე ადრე მოიგო.

ჩელსიმ ბენფიკა გაანადგურა და მსოფლიო საკლუბო ჩემპიონატის მეოთხედფინალში გავიდა

ლონდონის ჩელსიმ ლისაბონის ბენფიკა ფიფას საკლუბო მსოფლიო ჩემპიონატის მერვედფინალში 4:1 დაამარცხა და 5 ივლისს მეოთხედფინალში ბრაზილიურ პალმეირასს შეხვდება. მატჩი ფილადელფიაში გაიმართება.

64-ე წუთზე, ჩელსელმა რის ჯეიმსმა საჯარიმო დარტყმით გახსნა ანგარიში. ბენფიკამ გათანაბრება 90+5 წუთზე მოახერხა. ანხელ დი მარიამ პენალტი ზუსტად გარდასახა. დამატებით დროში ლონდონურმა კლუბმა სამი გოლი გაიტანა, თავი კრისტოფერ ნკუნკუმ, პედრო ნეტომ და კირმან დიუსბერი-ჰოლმა გამოიჩინეს.

აღსანიშნავია, რომ ბენფიკა 92-ე წუთიდან კაცნაკლული დარჩა, მას შემდეგ, რაც ჯანლუკა პრესტიანი მოედნიდან გააძევეს.

მატჩი 85-ე წუთზე ამინდის მოსალოდნელი გაუარესების გამო შეწყდა, ზუსტად მაშინ, როდესაც სტადიონზე ჭექა-ქუხილი დაიწყო. ჩელსის ფეხბურთელების უკმაყოფილო გამომეტყველებამ მაშინვე აჩვენა, თუ რას გრძნობდნენ ისინი იძულებითი პაუზის გამო.

სტადიონიდან 15 კილომეტრის რადიუსში ყოველი ელვის დარტყმა წამზომს ანულებდა. ასე რომ, საწყისი 30-წუთიანი პაუზა ორ საათამდე გაინელა. ჯამში მატჩი თითქმის 4,5 საათს გაგრძელდა.

ჯოსვოოდი ბ

შვეულად: 1. მონასტრის მსახური; 2. ისრაელის პარლამენტი; 3. საღებავი ნივთიერება, რომელიც ფერს აძლევს ცოცხალი ორგანიზმის ქსოვილებს; 4. სამეგრელოსა და აფხაზეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 5. მზის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 8. ცოლის დედა; 9. „ბითლზის“ ერთ-ერთი წევრი; 12. მკვეთრ კონტრასტებზე დამყარებული მხატვრული ხერხი ლიტერატურასა და სახვით ხელოვნებაში; 13. სამართლებრივი მდგომარეობა; 16. ხეობა, ბუნებრივი ნაკრძალი აჭარაში; 17. მზის სისტემის პლანეტა; 19. ესპანელი აზნაური; 20. ძნელად შესაგუებელი, უხასიათო ადამიანი.

თარაზულად: 6. საცხენოსნო შეჯიბრების ხელმძღვანელი; 7. ჩრდილო აფრიკაში მცხოვრები არაბების ძველი სახელწოდება; 8. უდაბნოს ცხელი ქარი; 10. კინოკრიტიკოსთა საერთაშორისო ორგანიზაციის კინოპრიზი; 11. დედათა მონასტერი ფარავნის ტბის მახლობლად; 14. გადატანითი მნიშვნელობით ნახმარი სიტყვა ან გამოთქმა; 15. ფართოფარფლებიანი ესპანური ქუდი; 18. ცირკის არენა; 21. საჯარო კამათი ლიტერატურულ, მეცნიერულ საკითხზე; 22. მდინარე ოზურგეთში; 23. ცნობილი უელსელი რაგბის მსაჯი; 24. ქართველი ბალეტმეისტერი, ამერიკული ბალეტის ფუძემდებელი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ჰამერი; 2. რალი; 3. არბიტრაჟი; 4. ანაშა; 5. ჟინვალი; 8. ვადუცი; 9. ბალახვანი; 12. გელათი; 14. თაბახი; 16. იჯარა.

თარაზულად: 1. ჰიპოკრატე; 6. კრიჟანგი; 7. მაყვალი; 9. ბრაილი; 10. იავა; 11. სუფრული; 13. დათვი; 15. ლენინი; 17. ჭიდაობა; 18. კაპელა; 19. ლიახვი; 20. დარიალი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ბეიძინი; 2. პუშკაში; 3. მისტრალი; 4. გელათი; 5. ლონდონი; 8. ბიზნესი; 9. ვილაიეთი; 12. ორატორია; 13. შნიცელი; 16. კოალიცია; 17. მაესტრო; 19. ისინდი; 20. პუებლო.

თარაზულად: 6. ხევსურეთი; 7. სექტორი; 8. ბოტეგა; 10. ჟინვალი; 11. შოვი; 14. ყინწვისი; 15. ტალახაძე; 18. კოპოლა; 21. სალომეა; 22. გურჯი; 23. იამოტო; 24. კაბელტოვი.

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

30 ივნისი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.7236	ევრო — 3.1882
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.7376	100 რუსული რუბლი — 3.4609

პაატა ბურჭულაძეს რუსთაველის პრემია დაუყადაღეს

ოპერის მომღერალს პაატა ბურჭულაძეს რუსთაველის პრემია დაუყადაღეს. ინფორმაცია ფონდ „იავნანას" ხელმძღვანელმა თეონა ჯორბენაძემ გაავრცელა:

– რუსთაველის პრემია დაუყადაღებიათ პაატასთვის, უკვე ისეთ სურეალიზმში ვართ, ველოდები, ვერდის ხმების კონკურსში გამარჯვებას როდის დაუყადაღებენ ან ფილადელფიაში ნამღერ რეკვიემს ლუჩანო პავაროტისთან ერთად, დომინგოსთან ერთად რომ „სიმონ ბოკანეგრადან" დუეტი შეასრულა ბათუმის პიაცაზე, პრინციპში მაგასაც შეიძლება დაედოს ყადაღა, რატომაც არა. ახალი კანონპროექტიც არ იქნებოდა ურიგო, მაგალითად, მაღალი „სოლის" დასაყადაღებლად. პაატას ხმასთან ბრძოლაში როგორი უსუსურები ჩანან, წარმოიდგინეთ, სხვა ნებისმიერი ქვეყანა როგორ იამაყებდა და ხელის გულზე ატარებდა. „მე ვარ საქართველო, გამარჯვების მჯერა!"

ჯანსუღ კახიძის 90 წლის იუბილე თელავში კონცერტით აღინიშნება

5 ივლისს „ჯანსუღ კახიძის ფონდი" დირიჟორისა და კომპოზიტორის ჯანსუღ კახიძის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი კონცერტი თელავის ვაჟა ფშაველას თეატრში გაიმართება. კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ: თბილისის სიმფონიური ორკესტრი, ვოკალური ანსამბლი „რუსთავი" და სოლისტი-ვოკალისტი გედევან ჯინჭარაძე. პროექტის ავტორი, წამყვანი და დირიჟორი ვახტანგ კახიძე. კონცერტის განმავლობაში შესრულდება ჯანსუღ კახიძის ყველა თაობისათვის საყვარელი სიმღერები და ნაჩვენები იქნება ჯანსუღ კახიძის მრავალმხრივი მოღვაწეობის ამსახველი ვიდეოკლიპები.

დემნა: „არასდროს ვყოფილვარ მოდური და სექსუალური ბიჭი"

ამბობს ქართველი დიზაინერი დემნა უცხოურ გამოცემასთან და ჟურნალისტთან პარიზში პირველი სამსახურის დაწყებაზე საუბრობს:

– პარიზში, ნიუ-იორკში და მილანში 90 პორტფოლიო გავგზავნე და არ ამიყვანეს. უკვე ვფიქრობდი, რომ ამ ინდუსტრიაში სამსახურს ვერ დავიწყებდი. მე არ ვიყავი სოციალური ხალხთან ურთიერთობაში, არასდროს ვყოფილვარ მოდური და სექსუალური ბიჭი, რომელიც მოდის კვირეულებზე დადის. ბოლოს გადავწყვიტე, რომ პორტფოლიო მარჯიელაში გამეგზავნა. შეიძლება ეს ჩემი, როგორც ეკონომისტის, ტვინის დამსახურებაა. დამთავრებული მაქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ეკონომიკის ფაკულტეტი, მაგრამ ვიფიქრე, პორტფოლიო უნდა გახსნან, შეფუთვა არის მნიშვნელოვანი. პორტფოლიო პიცის ყუთში ჩავდე და გავგზავნე. ასე მივიქციე მათი ყურადღება. დამირეკეს და მითხრეს: „შეძლებ, რომ 10 დღეში პარიზში ჩამოხვიდე?" 3 თვე პარიზში მეგობრის ბინაში დივანზე მეძინა, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა, მთავარი იყო, რომ პარიზში ჩემთვის კარი გაიღო.

ლაშა ბუღაძის „ნავიგატორი" შანხაიში დაიდგა

მწერლისა და დრამატურგის ლაშა ბუღაძის პიესა „ნავიგატორი" შანხაიში დაიდგა. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად შედგა ქართული პიესისა და ქართულენოვანი სპექტაკლის პრემიერა ჩინეთში. იდეა რეჟისორმა ზურა გეწაძემ და მსახიობმა თემო ძოწენიძემ განახორციელეს.

ლაშა ბუღაძე, მწერალი:

– ძალიან მერიდება ასეთ მძიმე დროს ამგვარი ამბის გამოდება, მაგრამ ვფიქრობ, მოვლენა უთუოდ ღირს აღნიშვნად და მადლობის გამოსათქმელად. შანხაიში დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად შედგა ქართული პიესისა და ზოგადად ქართულენოვანი სპექტაკლის პრემიერა. ჩემმა საყვარელმა რეჟისორმა და აქვე დავამატებ, საამაყო ერეკლე გეწაძის მამამ, ზურა გეწაძემ, ჩემი „ნავიგატორი" დადგა ქარიზმატული თემო ძოწენიძის შესრულებით.

თემო ძოწენიძეა ამ იდეის ავტორი და თეატრალური კომპანიის შემქმნელი და უპირველესი მადლობაც მას ეკუთვნის! გილოცავთ! რუსულ რეჟიმს ჩინეთიც გამოვაცალეთ!

ანდრო ჭიჭინაძის დედა კულტურის მინისტრს უპირისპირდება

საქართველოს კულტურის მინისტრმა თინათინ რუხაძემ ანდრო ჭიჭინაძეზე ისაუბრა და ის კარგ ახალგაზრდად დააახასიათა:

– ანდრო კარგი ახალგაზრდაა. ძალიან სიმპათიური. ძალიან ცუდია, რომ ამ ქვეყანაში მერამდენე გადატრიალების მცდელობებს ვუყურებთ. ძალიან ცუდია, რომ ეს ყველაფერი კეთდება ახალგაზრდების ხელით.

ლიკა გუნცაძე, ანდრო ჭიჭინაძის დედა:

– არ გაბედო ანდროს ხსენება! ბანდიტო, კორუმპირებულო, ხარბო „მინისტრო", მოვა შენი დროც! ქოცო! მართლა თქვე ქვეყნის გადამტრიალებლებო! მოღალატეებო! არ გაბედო ჩემი შვილის ხსენება! და არცერთი ბიჭის, რომელიც თქვენ, ჯალათებმა გამოკეტეთ ციხეში! მოგეკითხებათ, აი ნახავთ, სულ მალე გაგებინებთ პასუხს!

დათო გორგილაძე: „აბსურდის ჟანრი რთული ასატანია"

აცხადებს მწერალი და ტელეწამყვანი დათო გორგილაძე და საპროტესტო აქციების დროს დაკავებული პატიმრების სასამართლო პროცესს ეხმაურება:

– პროცესზე ვიყავი. სამ საათს გავუძელი. მერე გარეთ ვიჯექი. კინოში თუ არ უყურებ ან წიგნში თუ არ კითხულობ, აბსურდის ჟანრი რთული ასატანია. მით უფრო მაშინ, როცა ადამიანის თავისუფლებას, ჯანმრთელობას და, როგორც აღმოჩნდა, სიცოცხლეს ეხება საქმე. ონისე ცხადაძეს მხნედ ეჭირა თავი და როცა სიტყვას აძლევდნენ, მახვილი, ბასრი და ალესილი ნათქვამით ამბობდა სათქმელს. ხანდახან ხუმრობდა კიდეც. თუ ადამიანი მაშინ ხუმრობს, როცა არ ეხუმრება, ნიშნავს, რომ თავს იცავს. ხვდება, რომ სხვა არაფერი დარჩენია. ბიჭები თვალს არ აშორებდნენ დარბაზს. ალბათ სახეებს იმახსოვრებდნენ. ერთი საინტერესო პერსონაჟი ამბობს, რომ ციხეში ხედებსა და მხედველობას მეხსიერება უნაცვლებს. ისინიც იმკვეთრებდნენ მხედველობას. პროცესის დასრულებიდან მალევე ონისეს მამა გარდაიცვალა. მანამდე გიორგი ახობაძის დედა აღესრულა შვილის მოლოდინში. მშობლებს შვილებზე დარდი გაჰყავთ, შვილებმა კი სამუდამო საფიქრალი და სადარდებელი დაიტოვეს.

არ ვიცი, როგორ დარჩება მამა ონისეს მეხსიერებაში და ალბათ არც უნდა ვიცოდეთ. ეს მისი რთული გზაა, რომელსაც, ასე მგონია, მხნედ და ღირსეულად გაივლის. მე ახლა მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, როგორ უნდა იცხოვრონ ამ ცოდვით ხილული ბოროტების შემქმნელებმა. თუნდაც სადმე, გონების რომელიმე მივარდნილ და მივიწყებულ კუნჭულში მაინც არ ეფიქრებათ იმაზე, რომ ადრე იქნება თუ გვიან ამ ცოდვის ამორწყევა მოუნდებათ? განა ძილის წინ მაინც არ გაუელვებთ ხოლმე აზრი, რომ ერთ დღესაც მშვიდი სინდისი და უშფოთველი ძილი მოენატრებათ და არავინ იქნება მათი სინანულის მომსმენი და თანამგრძნობი? იმედი მაქვს, რომ ეფიქრებათ ამაზე. იმედი მაქვს, რომ მალე სხვა საფიქრალიც აღარ ექნებათ ამის გარდა. გარდაცვლილზე კი რა ვთქვა... დაე, ამქვეყნად წართმეული სიმშვიდე მოიპოვოს.

ალექს ჩიღვინაძე: „მინისტრს შეუძლია გიჩივლოს, დაგაჯარიმოს ან ციხეში გამოგკეტოს"

მწერალი ალექს სიღვინაძე აცხადებს, რომ სამართლიან გაბრაზებაზე შეიძლება გიჩივლონ, დაგაჯარიმონ ან ციხეში გამოგკეტონ:

– გაივლის რამდენიმე დღე და სარკესთან მდგომი კულტურის მინისტრი, თინათინ რუხაძე იმ არცთუ ისე შორეულ საღამოს გაიხსენებს, როდესაც ხალხი მისი ჩანთების ფასით აღშფოთდა. მაგრამ თიკამ იცის, რომ ხვალ მისი ამბავი არავის ემახსოვრება, ის რომ საქართველოს კულტურის მინისტრმა, 8.100 ევრო (23.949 ლარი) გადაიხადა ჩანთაში, შარშან კი მხოლოდ 5.995 ევრო (17.350 ლარი). კულტურის მინისტრმა 40 ათას ლარზე მეტი გადაიხადა ორ ჩანთაში. როცა, მაგალითად, ოპერის თანამშრომლების თვიური ხელფასი, 650 ლარიდან 1.100 ლარამდე მერყეობდა და როცა ამ ადამიანებმა ხელფასის მომატება მოითხოვეს და გაიფიცნენ, ისინი სამსახურიდან გაათავისუფლეს. საიდან აქვს თიკას ამ ჩანთების საყიდელი ფული? მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის დირექტორობის პარალელურად, ის შპს „თიხარტის" და კიდევ ერთი კომპანიის მრჩეველი ყოფილა. მხოლოდ თიხარტიდან 2023 წელს მიუღია 260.000 ლარი. რას აკეთებს შპს „თიხარტი"? ღონისძიებების ორგანიზებით არის დაკავებული და სახელმწიფოს ბიუჯეტიდან 29 გამარტივებული შესყიდვით აქვს მიღებული 1,873,201.92 ლარი. რუხაძე კი ამ კომპანიის მრჩეველი იყო. ანუ „ურჩევდა", როგორი ღონისძიება დაეგეგმათ საქართველოს გაპარტახებულ ქალაქებში, ვის ემღერა მშიერი ბავშვებისთვის და აი, ამაში იღებდა ასიათასობით ლარს, რომელსაც მერე უშურველად ხარჯავდა ჩანთებში და რატომ არ დახარჯავდა. ამ ყველაფერზე რომ სამართლიანად გაბრაზდე და თავისი სახელი დაარქვა, მინისტრს შეუძლია გიჩივლოს, დაგაჯარიმოს ან ციხეში გამოგკეტოს. მაგრამ რამდენიმე დღეში ვის ემახსოვრება თიკა რუხაძის ჩანთები. მანამდე კი შეგვიძლია რებუსებით შევიქციოთ თავი.

„დიდგორი" მსმენელის წინაშე განახლებული პროგრამით წარსდგება

ანსამბლი „დიდგორი" 2 ივლისს ხალხური სიმღერის კონცერტს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში გამართავს. მგალობელ-მომღერალთა გუნდი მსმენელის წინაშე განახლებული პროგრამით წარსდგება. კონცერტზე შესრულდება საქართველოს სხვადასხვა კუთხის ხალხური სიმღერები, როგორც ცნობილი ასევე მივიწყებული ვარიანტები. ანსამბლი დიდგორი 20 წელზე მეტია ასრულებს ქართულ ტრადიციულ მრავალხმიან სიმღერას. კონცერტში მონაწილეობას მიიღებს სპეციალური მოწვევით ანსამბლ „მარგალიტის" სოლისტი თათია დარსანია. საღამოს კი ფოლკლორისტი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი გია ბაღაშვილი გაუძღვება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ↘



შვეულად: 1. ფოტოაპარატების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 2. ტერიტორიული ერთეული შვედეთში; 3. წყალმცენარეების შემსწავლელი ბოტანიკის ნაწილი; 4. აკვალანგის გამომგონებელი ფრანგი ოკეანოგრაფი; 5. ნივრის მსგავსი სუნის მქონე ტყის ბალახი, იყენებენ მწნილის დასამზადებლად; 8. რძის პროდუქტი; 9. ფარისევლური ქცევის, ქლესა, ცბიერი ადამიანი; 12. ციფრული იაპონური გასართობი თავსატეხი; 14. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 16. ესპანეთის კუნძული ხმელთაშუა ზღვაში, პოპულარული საკურორტო ზონა.

თარაზულად: 1. მთელი სხეულის ძლიერი კრუნჩხვითი შეტევა; 6. ხელშეკრულებაში, ანდერძში შეტანილი საგანგებო პირობა; 7. აშშ-ის ელჩი საქართველოში; 9. ინდოელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 10. ქართული მინერალური წყალი; 11. ძველებური სასუნთქი თამბაქო; 13. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 15. აქლემის, ცხენის რძისგან მომზადებული სასმელი; 17. უბანი ძველ თბილისში; 18. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 19. ლიეტუველი კომპოზიტორი მამაკაცი; 20. ჭადრაკის ფიგურა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა